



საქართველოს სახალხო დამცველი

ბ რ ძ უ ნ ე ბ უ

N 172  
30/11/2022

172-22-4-202211301755



საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სააღრიცხვო პოლიტიკის  
დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებისა საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სააღრიცხვო პოლიტიკა“ თანდართული სახით (დანართი №1).
2. „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სააღრიცხვო პოლიტიკის“ შესრულებაზე ზედამხედველობა დაევალოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსს.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

## სარჩევი

თავი I - ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციული ასპექტები .....	3
მუხლი 1. სახელმძღვანელოს შემუშავების მიზანი.....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.....	3
მუხლი 3. ზოგადი დებულება/მიზანი .....	6
მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება .....	7
თავი II - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (სტანდარტი N23) .....	8
მუხლი 5. საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვა არა გაცვლითი ოპერაციებიდან - ფულადი და არაფულადი ფორმით მიღებული შემოსავლები და აღრიცხვის მეთოდები. ....	8
მუხლი 6. შემოსავლები უცხოურ ვალუტაში .....	12
თავი III - სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (სტანდარტი N12).....	12
მუხლი 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა .....	12
მუხლი 8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა .....	13
მუხლი 9. ხარჯებად აღიარება .....	15
თავი IV - ძირითადი საშუალებები (სტანდარტი N17) .....	16
მუხლი 10. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა .....	16
მუხლი 11. ძირითადი საშუალებების აღიარება.....	18
მუხლი 12. ძირითადი საშუალებების თვითღირებულების და აქტივების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა.....	18
მუხლი 13. აქტივებთან დაკავშირებული ცვეთის თანხებისა და გაუფასურების ზარალის აღიარება.....	20
მუხლი 14. აღიარების შეწყვეტა .....	21
მუხლი 15. კულტურული მემკვიდრეობის აქტივები .....	21
თავი V - არამატერიალური აქტივები (სტანდარტი N31) .....	22
მუხლი 16. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა .....	22
მუხლი 17. აღიარება და შეფასება .....	23
მუხლი 18. ხარჯის აღიარება .....	23
მუხლი 19. სასარგებლო მომსახურების ვადა.....	24
მუხლი 20. განმარტებითი შენიშვნები.....	25
თავი VI - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები (სტანდარტი N4).....	26

მუხლი 21. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების აღრიცხვა .....	26
თავი VII - ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება (სტანდარტი 21).....	27
მუხლი 22. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების აღრიცხვა .....	27
მუხლი 23. შესაძლო გაუფასურებული აქტივის იდენტიფიცირება .....	28
მუხლი 24. გაუფასურების ზარალის აღიარება და შეფასება.....	29
მუხლი 25. გაუფასურების ზარალის აღდგენა.....	30
მუხლი 26. განმარტებითი შენიშვნები.....	30
თავი VIII - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები (სტანდარტი N14) .....	31
მუხლი 27. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების აღრიცხვა .....	31
მუხლი 28. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები ..	32
მუხლი 29. განმარტებითი შენიშვნები.....	32
თავი IX - ხარჯები არასაოპერაციო შემოსავლები.....	34
მუხლი 30. ხარჯების აღრიცხვის წესი.....	34
მუხლი 31. საოპერაციო ხარჯების აღრიცხვა .....	35
მუხლი 32. არასაოპერაციო ხარჯების/შემოსავლების აღრიცხვა .....	40

დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები

სპ - სააღრიცხვო პოლიტიკა;

სო - საბიუჯეტო ორგანიზაცია;

სსბასს (IPSAS) - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი;

სსკ - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

სკ- საბიუჯეტო კლასიფიკაცია;

სზ - სახელმწიფო ბიუჯეტი;

აპარატი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

## თავი I - ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციული ასპექტები

მუხლი 1. სახელმძღვანელოს შემუშავების მიზანი

1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - სააღრიცხვო პოლიტიკა) შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომში - ინსტრუქცია) და სსბასს 3 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ საფუძველზე და მისი მიზანია:

ა) საბიუჯეტო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა-ანგარიშგების უზრუნველსაყოფად განსაზღვროს ანგარიშგების მომზადების, წარდგენის და ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების დროს გამოყენებული ძირითადი პრინციპები, საფუძვლები და დაშვებები.

ბ) ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

2. სააღრიცხვო პოლიტიკაში ჩამოყალიბებული ნორმები წარმოადგენს სახალხო დამცველის აპარატის მიდგომას ცალკეული ეკონომიკური მოვლენისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ელემენტების მიმართ.

3. საკითხები რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე დოკუმენტით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. იმისათვის რომ არ დაირღვეს ფინანსური ანგარიშგებების მთლიანობის პრინციპი, დოკუმენტები/ფორმები, რომელიც არ არის მოხსენიებული წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკაში, მაგრამ საჭიროა მომავალში ბუღალტრული გატარებების/ოპერაციების შესასრულებლად, გამოყენებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის დაცვით შედგენილი და დადასტურებული დოკუმენტები, რომლის საფუძველზე აპარატი განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს/ოპერაციებს.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

სააღრიცხვო პოლიტიკაში ტერმინები გამოიყენება იმავე მნიშვნელობით რა მნიშვნელობაც მათ აქვთ შესაბამის სფეროში, მათ შორის:

1. ტრანსფერით მიღებული/გადაცემული აქტივების პირობები ისეთი შეთანხმებებია, რომლის მიხედვითაც ტრანსფერის მიმღებ ერთეულს მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მატარებელი აქტივის მოხმარება დანიშნულებისამებრ მოეთხოვება ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი უნდა დაუბრუნდეს ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს.

2. აქტივის კონტროლი ხორციელდება მაშინ, როცა აპარატს, მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისას, შეუძლია აქტივის გამოყენება ან მისგან სხვა ფორმით სარგებლის მიღება, ამასთან, შეუძლია გამორიცხოს ან სხვაგვარად დაარეგულიროს ამ სარგებელზე სხვათა ხელმისაწვდომობა.

3. ჯარიმები კანონის ან სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგად სასამართლოს ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს გადაწყვეტილებით დადგენილი და საჯარო სექტორის ერთეულების მიერ მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალია.

4. ტრანსფერით მიღებულ/გადაცემულ აქტივებზე დაწესებული შეზღუდვები ისეთი შეთანხმებებია, რომელთა მიხედვითაც იზღუდება ან განისაზღვრება ტრანსფერით მიღებული /გადაცემული აქტივის გამოყენების მიზნობრიობა, მაგრამ თუ არ მოხდება აქტივის დანიშნულებისამებრ მოხმარება, არ მოითხოვს ტრანსფერის განმახორციელებელი ერთეულისთვის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის უკან დაბრუნებას.

5. შეთანხმებები ტრანსფერით მიღებულ/გადაცემულ აქტივებზე კანონის ან სამართლებრივი ნორმების ან/და სავალდებულო ხასიათის მქონე შეთანხმების პირობებია, რომელთა დაწესება ხდება ტრანსფერით მიღებული/გადაცემული აქტივის გამოყენებაზე ანგარიშვალდებული ერთეულის გარეთ არსებული ერთეულების მიერ.
6. ტრანსფერები წარმოადგენს მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლას არაგაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა გადასახადებისა.
7. მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულება არის ის ღირებულება, რომელსაც აპარატი გაიღებდა აქტივების მოსაპოვებლად ანგარიშგების თარიღისათვის.
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები არის აქტივები (**ერთ-ერთი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში მატერიალური მარაგები აღრიცხული უნდა იყოს**) თუ არსებობს შემდეგი ფორმით:
  - ა) საქმიანობის პროცესში გამოსაყენებელი ნედლეულისა და მასალების ფორმით;
  - ბ) საქმიანობის პროცესში გამოსაყენებელი ან გასანაწილებელი ნედლეულისა და მასალების ფორმით,
9. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი ოპერირების რეჟიმში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის, გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით.
10. საბალანსო ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ.
11. ამორტიზებადი თანხა არის აქტივის თვითღირებულება ან მისი შემცველი სხვა ოდენობა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.
12. ცვეთა არის აქტივის ამორტიზებული თანხის სისტემური განაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.
13. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გაუფასურების დანაკარგი არის თანხა, რომლის მეშვეობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას და გადაფასების შედეგად მისი ღირებულება უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.
14. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომელიც:
  - ა) იმყოფება აპარატის მფლობელობაში და გამოიყენება: ადმინისტრაციული მიზნებისათვის, იჯარით გასაცემად ან და
  - ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.
15. აღდგენითი ღირებულება არის უდიდესი, ფულადი ნაკადების წარმომშობ აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებსა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.
16. აღდგენითი მომსახურების ღირებულება არის უდიდესი ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებსა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.
17. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც აპარატი ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვის შემთხვევაში, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ხანდაზმულობა და მდგომარეობა.
18. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:
  - ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აპარატის მიერ აქტივის გამოყენება ან
  - ბ) პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აპარატის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.
19. საბოლოო სავალუტო კურსი არის ანგარიშგების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსი.
20. საკურსო სხვაობა ნიშნავს სხვაობას, რომელიც მიიღება ერთი ვალუტის მოცემული რაოდენობის ერთეულების გადაანგარიშებისას სხვა ვალუტაში სხვადასხვა გაცვლითი კურსის გამოყენებით.

21. სავალუტო კურსი ორი ვალუტის ერთიმეორეზე გაცვლის კოეფიციენტი.
22. უცხოური ვალუტა - ნებისმიერი ვალუტა, რომელიც განსხვავდება ერთეულის სამუშაო ვალუტისგან.
23. ფულადი მუხლი - არსებული ვალუტის ერთეული, ასევე მისაღები ან გადასახდელი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოხატულია ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობით.
24. საანგარიშგებო ვალუტა - ვალუტა, რომელშიც ხდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.
25. მიმდინარე გაცვლითი კურსი - ვალუტის გაცვლითი კურსი დაუყოვნებელი მიწოდებისას.
26. ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივები არის აქტივები, რომელთა ფლობის უმთავრესი მიზანი კომერციული უკუგების წარმოქმნაა.
27. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები წარმოადგენს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის გამოკლებით.
28. რეალური ღირებულება გაყიდვის დანახარჯების გათვალისწინებით არის თანხა, რომელიც მიიღება დამოუკიდებელი, საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის აქტივის რეალიზაციის შედეგად, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით.
29. გაუფასურება არის აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან რაციონალური გამოყენების პოტენციალის დანაკარგი, რომელიც აღემატება აქტივის მომავალ ეკონომიკური სარგებლის სისტემატურ აღიარებულ დანაკლისს, ან ცვეთის შედეგად რაციონალური გამოყენების პოტენციალის შემცირებას.
30. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივები არის ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივებისაგან განსხვავებული, სხვა აქტივები.
31. გამოყენების აღდგენითი ღირებულება არის ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.
32. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც ხდება ანგარიშგების თარიღის შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის (ანუ ხელმძღვანელი პირის ხელმოწერით დადასტურებული ანგარიშგება) მიღება. შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის მოვლენა:
  - ა) თუ რაიმე განხილვა და შეფასება არ ხდება;
  - ბ) მოვლენები, რომლებიც იძლევა მტკიცებულებებს ანგარიშგების თარიღისათვის არსებულ პირობებზე (ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები);
  - გ) მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში (ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები).
33. გაუფასურება არის აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან რაციონალური გამოყენების პოტენციალის დანაკარგი, რომელიც აღემატება აქტივის მომავალ ეკონომიკური სარგებლის სისტემატურ აღიარებულ დანაკლისს, ან ცვეთის შედეგად რაციონალური გამოყენების პოტენციალის შემცირებას.
34. გაუფასურება არის აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან რაციონალური გამოყენების პოტენციალის დანაკარგი, რომელიც აღემატება აქტივის მომავალ ეკონომიკური სარგებლის სისტემატურ აღიარებულ დანაკლისს, ან ცვეთის შედეგად რაციონალური გამოყენების პოტენციალის შემცირებას.
35. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გამოყენებითი ღირებულება არის აქტივის გამოყენების დარჩენილი პოტენციალის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება.

36. რეალური ღირებულება გაყიდვის დანახარჯების გათვალისწინებით არის თანხა, რომელიც მიიღება დამოუკიდებელი, საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის აქტივის რეალიზაციის შედეგად, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით.

37. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები წარმოადგენს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის გამოკლებით.

38. გამოყენების აღდგენითი ღირებულება არის ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი (გამოყენების აღდგენითი ღირებულება არის ღირებულება, რომელიც იგივე აქტივის ხელახალი გამოყენების საჭიროების დადგომის მომენტში იქნებოდა გადახდილი (იმ დროისთვის აქტივში გადასახადელი თანხა));

39. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გამოყენებითი ღირებულება არის აქტივის გამოყენების დარჩენილი პოტენციალის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება,

40. სხვა ტერმინები ამ დოკუმენტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სსბასს-ებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

### **მუხლი 3. ზოგადი დებულება/მიზანი**

1. სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანია სახალხო დამცველის აპარატის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

2. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა ორგანიზაციის ორგანიზაციული და ფუნქციონალური სტრუქტურის თავისებურებებს და სპეციფიკურ საქმიანობას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საბუღალტრო აღრიცხვის შესახებ საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა ასახავს იმ სპეციფიკურ საკითხებს, რომელიც არ რეგულირდება საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი მეთოდოლოგიით და სსბასს (IPSAS) და იწვევს მათი მოთხოვნებიდან გადახრას ან მეთოდოლოგია და სტანდარტები აპარატს აძლევს არჩევანის უფლებას.

5. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება, ერთი საანგარიშო წლიდან მეორეზე.

6. სახალხო დამცველის აპარატის სააღრიცხვო პოლიტიკაში ცვლილებები, გარდა სსბასს განსაზღვრული შემთხვევებისა, შეიძლება განხორციელდეს:

ა) აპარატის საქმიანობის ცვლილებების შემთხვევაში;

ბ) მაკონტროლებელი ორგანოს მოთხოვნით;

გ) აუდიტის რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში ან

დ) აპარატის საქმიანობის ტექნიკურად გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევაში.

### **მუხლი 4. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება**

1. აპარატის ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის პირველი მოადგილე და სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი;

2. აპარატის ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს აპარატის მთავარი ბუღალტერი და ბუღალტერი/ბუღალტრები. აპარატში აღრიცხვის განხორციელებას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი და აპარატის მთავარი ბუღალტერი.

3. აპარატის ცენტრალური ოფისიდან გეოგრაფიულად განცალკევებული სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებული ყველა სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრული აღრიცხვა ტარდება ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის მიერ (ცენტრალიზებული ბუღალტერია).
4. აპარატის სააღრიცხვო პერსონალის საქმიანობა, უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა რეგულირდება დებულებით და მათი სამუშაო აღწერილობით.
5. დაწესებულებაში ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ავტომატიზირებული გზით, ხაზინის ელექტრონული სისტემის მთავარი წიგნის მოდულის და საბუღალტრო პროგრამების: ორისის/ერთი გონის გამოყენებით (თუმცა ელექტრონული პროგრამა შეიძლება შეიცვალოს და აღნიშნული ცვლილება განიხილება „აპარატის საქმიანობის ტექნიკურად გაუმჯობესების საჭიროების შემთხვევადად“, შემდგომში - ელექტრონული სისტემა).
6. აპარატის აღრიცხვა ხორციელდება ბუღალტრული სამუშაო ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რომელიც შეიცავს სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებს, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის თაობაზე“ საფუძველზე.
7. სამუშაო ანგარიშების გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია: საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები; მმართველობითი აღრიცხვის და შესაბამისი ანალიზური აღრიცხვის წესები და პირობები, სტატისტიკური და სხვა არაფინანსური ანგარიშების მომზადების წესები, შიდა კონტროლის მოთხოვნები.
8. ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის (ბუღალტრული გატარების) საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.
9. ეკონომიკური მოვლენების მოკორექსოდენტო ბუღალტრულ ანგარიშებზე (ბუღალტრულ გატარებებში) ასახვა ხდება პირველად დოკუმენტებში მითითებული ოპერაციების და სხვა მოვლენების მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას, რომელსაც უკავშირდება აღნიშნული მოვლენა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.
10. მუდმივ (აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივები/კაპიტალის) და დროებით (შემოსავლების და ხარჯების) ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენებით, ფულად გამოსახულებაში. დროებით ანგარიშებზე ასახული შემოსავლები და ხარჯები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხურება წმინდა აქტივების/კაპიტალის შესაბამის ანგარიშებზე.
11. საცნობარო ანგარიშები გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის აპარატის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ დამატებითი ფინანსური ინფორმაციის წარსადგენად. საცნობარო ანგარიშებზე ჩანაწერები კეთდება ორმაგი ჩაწერის პრინციპის (წესის) გამოყენების გარეშე, ფულად გამოსახულებაში.
12. მიზნობრივი დანიშნულებით მიღებული ფინანსური რესურსების გამიჯვნა საბიუჯეტო სახსრებიდან ხდება სამუშაო ანგარიშთა გეგმის მიხედვით, რომელსაც მოიცავს ერთიანი სამუშაო ანგარიშთა გეგმა.
13. აპარატის მიერ მიღებული მიზნობრივი თანხები მოიცავს: შემოწირულობებსა და გრანტებს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, უცხო სახელმწიფოების მთავრობებისგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისგან როგორც ფულადი სახით, ასევე სასაქონლო ფორმით.
14. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში შედის პასუხისმგებელი პირ(ებ)ის წერილობითი ინიციატივით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საჭირო ცვლილების განხორციელების არგუმენტები და საფუძვლები. ცვლილების წერილობითი ინიციატივა ეგზავნება ხელმძღვანელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ცვლილების საბოლოო განხორციელების შესახებ.



## თავი II - შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან (სტანდარტი N23)

**მუხლი 5. საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვა არა გაცვლითი ოპერაციებიდან - ფულადი და არაფულადი ფორმით მიღებული შემოსავლები და აღრიცხვის მეთოდები.**

1. არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ სსბასს 23 — „შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციებიდან“ შესაბამისად. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:
  - ა. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;
  - ბ. საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავლების მიმართ;
  - გ. დაფინანსების წყაროების (დონორების) მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;
  - გ. ორგანიზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;
  - ე. საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.
2. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს შემოსავლების მიღების დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.
3. აპარატში არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლად ითვლება ყველა სახის ფულადი და სასაქონლო ფორმით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ არის მიღებული გაცვლითი ოპერაციებიდან.
4. შემდეგი სახის შემოსავალი, რომელიც მიიღება აპარატში, წარმოადგენს შემოსავალს არაგაცვლითი ოპერაციებიდან: ტრანსფერები (ფულადი ან არაფულადი სახით); გრანტები, ვალის პატიება, მემკვიდრეობა, საჩუქრები, შემოწირულობები, ნატურალური ფორმით საქონლისა და მომსახურების ჩათვლით.
5. რესურსების შემოსვლა არაგაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა ნატურალური ფორმით გაწეული მომსახურებისა, რომელიც აქტივის განსაზღვრებას აკმაყოფილებს, აღიარდება აქტივად მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
  - ა) სავარაუდოა აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის შემოდინება აპარატში და
  - ბ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.
6. აპარატში, არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად, ნატურალური ფორმით მიღებული მომსახურება არ აღიარდება, მაგრამ უნდა განხორციელდეს აღნიშნული ოპერაციის განმარტებით ბარათში გამჟღავნება. განმარტებით ბარათში გამჟღავნების საფუძველს წარმოადგენს მხარეებს შორის გაფორმებული ნებისმიერი სახის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ოპერაციას, მითითებულია ოპერაციის შინაარსი, ოპერაციის ღირებულება, გააჩნია თარიღი და უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერა.
7. აპარატში არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, როგორც შემოსავალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამავე მიღებასთან მიმართებით ხდება ვალდებულების აღიარებაც, მხარეებს შორის გაფორმებული დოკუმენტაციის შესაბამისად.
8. აპარატში არაგაცვლითი ოპერაციებიდან ფულადი და არაფულადი ფორმით მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება შემოსავლის წყაროსთან გაფორმებული დოკუმენტის

საფუძველზე (ხელშეკრულება ან/და შეთანხმება ან/და ოფიციალური წერილი ან/და მიღება-ჩაბარების აქტი ან/და ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები ან/და სხვა), რომელიც ადასტურებს მხარეების ნებას სახალხო დამცველის აპარატს გადაეცეს ფულადი ან/და არაფულადი ფორმით მატერიალური/არამატერიალური სახის მომსახურება/საქონელი/სამუშაო.

9. შემოსავლის წყაროსთან გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს აპარატში შემოსავლის მიღებას, ხელს აწერს სახალხო დამცველი ან სახალხო დამცველის პირველი მოადგილე.

10. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებულ შემოსავლის წყაროსთან გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს აპარატში შემოსავლის მიღებას, უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ფულადი ან/და სასაქონლო ფორმით საქონლის/მომსახურების გამცემი იურიდიული/ფიზიკური პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, დოკუმენტის გაფორმების თარიღი, დოკუმენტის ძალაში შესვლის თარიღი, ოპერაციის განხორციელების თარიღი (თუ არ იქნება მითითებული ძალაში შესვლის და ოპერაციის განხორციელების თარიღები (ორივე ან ერთ-ერთი) დოკუმენტის გაფორმების თარიღი ჩაითვლება ოპერაციის განხორციელების თარიღად), საქონლის/მომსახურების ზუსტი დასახელება, რაოდენობა.

11. შემოსავლის წყაროსთან გაფორმებულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს აპარატში შემოსავლის მიღებას, შეიძლება გააჩნდეს შემდეგი მონაცემები (თუ ქვემოთ მითითებული მონაცემები დოკუმენტში არ იქნება, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ინფორმაცია მითითებულ ოპერაციას არ გააჩნია): ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში); მავალდებულებელი გარემოებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); პირობები ან/და შეზღუდვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და პირობა, რომლის მიხედვითაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში არაგაცვლითი ოპერაციით მიღებული შემოსავალი დაუბრუნდეს იმ ერთეულს, რომელმაც განახორციელა არაგაცვლითი ოპერაცია (გამცემი).

12. თუ არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებულ აქტივებზე დაწესებული შეზღუდვები არ მოითხოვს, რომ არაგაცვლითი ფორმით მიღებული აქტივი ან სხვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი, თუ არ მოხდება აქტივის დანიშნულებისამებრ მოხმარება, დაუბრუნდეს არაგაცვლითი ოპერაციის განმახორციელებელ ერთეულს, ამ შემთხვევაში შემოსავალი აღიარდება სახალხო დამცველის აპარატის მიერ.

13. არაგაცვლითი ოპერაციიდან მიღებული შემოსავალი აპარატში აღიარდება ასევე იმ შემთხვევაში, თუ პირობის კონკრეტული მოთხოვნაა, რომ ერთეულმა მესამე მხარეები (აპარატი) საქონლით ან მომსახურებით უზრუნველყოს ან აუთვისებელი სახსრები დაუბრუნოს ტრანსფერის განმახორციელებელ ერთეულს. ამ შემთხვევაში აპარატი არაგაცვლითი ოპერაციიდან მიღებულ შემოსავლს აღიარებს საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების შემდეგ.

14. არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად ფულადი ფორმით მიღებული/მისაღები შემოსავლების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტში/ხელშეკრულებაში თუ იქნება პირობა, რომ პროექტის დასრულების შემდეგ დარჩენილი აუთვისებელი ფულადი ნაშთი უკან უნდა დაუბრუნდეს დონორს, თანხა აღიარდება როგორც ავანსად მიღებული მოკლევადიანი ვალდებულება, ხოლო შეთანხმების პირობის შესრულების შემდგომ, მას შემდეგ რაც დასრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობები, წლის ბოლოს განხორციელდება ფაქტიურად დახარჯული თანხების შემოსავლად აღიარება. პროექტის დასრულების შემდეგ დარჩენილი აუთვისებელი ფულადი ნაშთი უკან უნდა დაუბრუნდეს დონორს მის მიერ მოწოდებული საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც უნდა წარმოადგინოს აპარატში ოფიციალური წერილობითი ფორმით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

15. არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად გაფორმებულ დოკუმენტაციაში/ხელშეკრულებებში მითითებული უნდა იყოს პროექტის დასრულების შემდგომ

განხორცილდება თუ არა პროექტის ფარგლებში არსებული საქონლის/ინვენტარის/აქტივების სახალხო დამცველის აპარატისთვის გადაცემა და რა დოკუმენტაციის საფუძველზე მოხდება ინვენტარის გადაცემა, რომლის საფუძველზეც მითითებულ საქონლს/ინვენტარს/აქტივებს აპარატი აღიარებს შემოსავალში თუ:

- ა) სავარაუდოა საქონელთან/ინვენტართან/აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის შემოღობვა ეაპარატში და
- ბ) შესაძლებელია საქონლის/ინვენტარის/აქტივების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

16. იმ შემთხვევაში, თუ არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად გაფორმებული შეთანხმების პირობის შესრულების შემდგომ, მას შემდეგ, რაც დასრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივობები, პროექტის ფარგლებში არსებული საქონლის/ინვენტარის/აქტივების შესახებ ჩანაწერი არ იქნება თავდაპირველ შეთანხმებაში და აღნიშნული პროექტის ფარგლებში არსებული საქონელი/ინვენტარი/აქტივები დონორის მიერ იქნება თვითნებურად დატოვებული აპარატში, აპარატი ვალდებულია შექმნას შიდა ერთჯერადი საინვენტარიზაციო კომისია (არანაკლებ 3 წევრი), რომელიც გამოავლენს ინვენტართან დაკავშირებულ გარემოებებს და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს.

17. თუ პროექტის დასრულების შემდგომ ან/და საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით აქტივი არ აკმაყოფილებს აქივად აღიარების კრიტერიუმებს განხორცილდება ამ ინფორმაციის განმარტებით ბარათში გამჟღავნება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

18. არაგაცვლითი ოპერაციიდან მიღებული შეფასება ქონების გადმოცემის მომენტში განხორციელდება აკრედიტებული აუდიტორული/საექსპერტო ორგანიზაციის/აუდიტის/ექსპერტის მიერ, თუ გადმოცემის მომენტში, გადმოცემის დოკუმენტში არ იქნება მითითებული ქონების მიმდინარე ღირებულება.

20. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად მიღებული აქტივების აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ერთეული მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს და ერთეულისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

21. მითითებული პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში (როდესაც დონორი ორგანიზაციები პროექტების დასრულების შემდეგ ტოვებენ აქტივებს და ვერ ხერხდება აღნიშნული აქტივების ვერც ბალანსზე აყვანა და გამოუსადეგარია სახალხო დამცველის აპარატის მიერ) შეიქმნას აღნიშნული ინვენტარისთვის ინვენტარიზაციის კომისია, რომელიც განახორციელებს აქტივების აღრიცხვას და აღნიშნულ ინვენტარს გადასცემს მომსახურების სააგენტოს ან ჩააბარებს ჯართის სახით და მიღებულ თანხას შეიტანს ბიუჯეტში ან მოიძიებს საბიუჯეტო ორგანიზაციას, რომელსაც ესაჭიროება ეს ინვენტარი და გადასცემს ან თუ ზემოაღნიშნული ვერცერთი ქმედება ვერ განხორციელდება, ვინაიდან ინვენტარი როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად არ არის სარგებლის მომტანი აპარატისთვის და ამორტიზებულია, აკეთებს დასკვნას და ახდენს მის უტილიზაციას, განადგურებას მოქმედი კანონმდებლობის დაცვით .

22. როდესაც აპარატში არაგაცვლითი ოპერაციიდან მიღებულია შემოსავალი და საჭიროა მასზე გარკვეული ხარჯის გაწევა, შემოსავალი წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალის მთლიან შემოსვლას და რესურსების ნებისმიერი გადინების აღიარება მოხდება ოპერაციაზე გაწეული დანახარჯის სახით.

23. თუ ანგარიშვალდებულ ერთეულს მოეთხოვება გაიღოს მიწოდებისა და მონტაჟის ხარჯები მისთვის სხვა ერთეულის მიერ ძირითადი საშუალებების ერთეულის გადაცემასთან დაკავშირებით, ამ ხარჯების აღიარება ხდება ცალკე, ძირითადი საშუალებების ერთეულის გადაცემისაგან წარმოქმნილი შემოსავლისაგან დამოუკიდებლად. მიწოდებისა და მონტაჟის ხარჯები შედის სსბასს 17-ის, ძირითადი საშუალებები - შესაბამისად აღიარებული აქტივის ღირებულებაში.

24. ტრანსფერი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს, თუ სავარაუდოა რესურსების შემოსვლა და შესაძლებელია მათი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, კონკრეტულ შემთხვევებში, როგორცაა, მაგალითად, კრედიტორის მიერ ვალდებულების პატიება, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წინათ უკვე აღიარებული ვალდებულების საბალანსო ღირებულების შემცირებას. ასეთ შემთხვევებში, ტრანსფერის შედეგად აქტივის აღიარების ნაცვლად, ერთეული (აპარატი) ახდენს ვალდებულების საბალანსო ღირებულების შემცირებას.

25. აპარატი სახელმწიფო ერთეულებიდან (ერთი დონის სახელმწიფო სტრუქტურა) ყველა სახის აქტივის უსასყიდლოდ მიღების შემთხვევაში, ამ ოპერაციას არ ასახავს საოპერაციო შემოსავლებში და ასახავს როგორც კაპიტალის ანგარიშის გაზრდა აქტივის შემოსვლით.

26. აპარატი სახელმწიფო ერთეულიდან (სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურა) ან სხვა ერთეულებიდან ან საოჯახო მეურნეობებიდან აქტივის უსასყიდლოდ მიღების შემთხვევაში, საოპერაციო შემოსავალი აისახება კაპიტალური ტრანსფერის სახით, როგორც კაპიტალური გრანტი, ხოლო მოკლევადიანი აქტივების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების უსასყიდლოდ მიღება, როგორც მიმდინარე გრანტი.

27. იმ შემთხვევაში, თუ აპარატი იღებს რესურსებს იქამდე, სანამ ტრანსფერის/გრანტის (და სხვა სახის შემოსავალი) შესახებ შეთანხმება გახდება მავალდებულებელი, რესურსების აღიარება ხდება აქტივის სახით, თუ ისინი შეესაბამება აქტივის განსაზღვრებას და აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. წინასწარ მიღებულ ტრანსფერის/გრანტის (და სხვა სახის შემოსავალი) მიმართებაში აპარატი ასევე აღიარებს ვალდებულებას, თუ შეთანხმება გადაცემის შესახებ ჯერ არ გამხდარა მავალდებულებელი. ავანსად მიღებული ტრანსფერის/გრანტის (და სხვა სახის შემოსავალი) ვალდებულების აღიარება ხდება ისეთი მოვლენის დადგომამდე, რომელიც ტრანსფერის/გრანტის (და სხვა სახის შემოსავალი) შესახებ შეთანხმებას სავალდებულო ხასიათს ანიჭებს და შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობის შესრულებამდე. ასეთი მოვლენის დადგომისა და შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობის შესრულების შემდეგ, ვალდებულება იხსნება და ხდება შემოსავლის აღიარება.

## მუხლი 6. შემოსავლები უცხოურ ვალუტაში

1. სახალხო დამცველის აპარატში, შემოსავლები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება სახაზინო სამსახურში თანხის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსის შესაბამისად;

2. იმ შემთხვევაში, თუ დონორთან გაფორმებულ დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს მომავალში სახალხო დამცველის აპარატისთვის უცხოურ ვალუტაში შემოსავლის მიღებას, საანგარიშგებო ვალუტად მითითებულია უცხოური ვალუტა, ხოლო დონორი სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო სამსახურის ანგარიშზე ჩარიცხავს ქართულ ლარს, სახალხო დამცველის აპარატის აღრიცხვა ანგარიშგების მიზნებისთვის, აპარატი ვალდებულია, იგივე ხელშეკრულებით შემოსავლების აღრიცხვისას, გამოიყენოს დონორის მიერ ჩარიცხვის დღეს არსებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი.

3. იმ შემთხვევაში, თუ დონორთან გაფორმებულ დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს მომავალში სახალხო დამცველის აპარატისთვის უცხოურ ვალუტაში შემოსავლის მიღებას, საანგარიშგებო ვალუტად მითითებულია უცხოური ვალუტა, დონორი სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო სამსახურის ანგარიშზე ჩარიცხავს უცხოურ ვალუტას, ხოლო სახალხო დამცველის აპარატი მოახდენს კონვერტაციას, სახალხო დამცველის აპარატის აღრიცხვა ანგარიშგების მიზნებისთვის, აპარატი ვალდებულია, იგივე ხელშეკრულებით შემოსავლების აღრიცხვისას, გამოიყენოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კონვერტაციის დღეს არსებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი ან ოპერაციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსი.

4. თუ სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო ანგარიშზე განთავსებულია უცხოური ვალუტა, აპარტი ვალდებულია არსებული ფინანსური რესურსები დააკორექტიროს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად, წარმოქმნილი ნამეტი/დეფიციტი ასახოს შესაბამის ანგარიშგებზე არასაოპერაციო ხარჯების/არასაოპერაციო შემოსავლების შესაბამისად.

### თავი III - სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (სტანდარტი N12)

#### მუხლი 7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ სსბასს 12—„სასაქონლო მატერიალური ფასეულობების“ შესაბამისად. წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული აღრიცხვის წესების განსაზღვრას.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:

ა. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;

ბ. საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ;

გ. ინვენტარიზაციის/შეფასების შესახებ არსებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;

დ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესები;

ე. ორგანიზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;

ვ. საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შედეგად წარმოშობილ დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.

4. აპარტში სასაქონლო მატერიალური ფასეულობები მოიცავს აქტივებს, რომლებიც მომსახურების პროცესში გამოსაყენებელი ან გასანაწილებელი ნედლეულისა და მასალების ფორმით გვხვდება.

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აპარატში შესაძლოა მოიცავდეს:

ა) მოხმარებად ნედლეულსა და მასალებს;

ბ) შესაკეთებელ მასალებს;

გ) მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილებს, გარდა ძირითადი საშუალებების სტანდარტში მოცემული სათადარიგო ნაწილებისა;

დ) 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკას, ინვენტარს და მოწყობილობას.

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აპარატში შეიძლება განხორციელდეს შესყიდვის ან/და უსასყიდლოდ გადაცემის (შემოსავალი არაგაცვლითი ოპერაციიდან) გზით.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აპარატში აღრიცხება დარიცხვის მეთოდით.

8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები აპარატს შესაძლოა გადაეცეს ტრანსფერის სახით, არაგაცვლითი ოპერაციის გამოყენებით. ასეთ შემთხვევებში, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მათი მიღების თარიღისათვის არსებული რეალური ღირებულებით განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის და აღნიშნული წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა**

1. აპარატში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების დროს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს შესყიდვის ყველა დანახარჯს, კონვერსიის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

2. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვის დანახარჯები მოიცავს:

ა) შემენის ფასს;

ბ) საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (შემდგომში საგადასახადო ორგანოების მხრიდან ერთეულისათვის დასაბრუნებელი გადასახადების გარდა);

გ) სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალების და მომსახურების შექმნასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შესყიდვის დანახარჯების გაანგარიშებაში;

დ) სხვა დანახარჯები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში ჩაითვლება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენადაც იგი დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოცემულ ადგილამდე მიტანასა და მოცემულ მდგომარეობაში მოყვანასთან.

3. ქვემოთ მოცემულია ის დანახარჯები, რომლებიც არ ჩაირთვება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულებაში მაგრამ მათი აღიარება უნდა მოხდეს იმ პერიოდის ხარჯებში, რომელშიც იყო გაწეული. ეს დანახარჯებია:

ა) ნედლეულისა და მასალების დანაკარგების, ცოცხალი შრომისა და სხვა საწარმოო დანახარჯების ზენორმატიული თანხები;

ბ) სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შენახვის დანახარჯები;

გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც დაკავშირებული არ არის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ სათანადო მდგომარეობაში მოყვანასთან.

4. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ღირებულების საშუალო სიდიდის გაანგარიშება შესაძლებელია პერიოდულად ან ყოველი ახალმიღებული პარტიისთვის, მოცემული ერთეულისათვის დამახასიათებელი ვითარების შესაბამისად.

5. აპარატში თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გაიცვლება ან/და განაწილდება, მათი საბალანსო ღირებულება აღიარებული უნდა იქნას იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც შესაბამისი შემოსავლების აღიარება მოხდება. თუ არ არსებობს მასთან დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯის აღიარება ხდება საქონლის განაწილებისას ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევისას. ნებისმიერი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის ღირებულება და ყველა დანაკარგი აღიარებული უნდა იქნას როგორც ხარჯები იმ პერიოდში, როდესაც ჩამოწერას ან დანაკარგს აქვს ადგილი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნებისმიერი ჩამოწერის ნებისმიერი ანუღირება აღიარებულ უნდა იქნას

როგორც ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თანხის შემცირება (უკუგატარებით) იმ პერიოდში, როდესაც ანულირებას აქვს ადგილი.

6. აპარატში სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ხარჯებში აღიარდება მათი განაწილების ან/და გადაცემის ან/და ჩამოწერის შემდგომ. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეიძლება განაწილდეს აპარატის თანამშრომლებზე ან/და გადაეცეს საბიუჯეტო ორგანიზაციებს ან/და ჩამოიწეროს.

7. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებზე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განაწილება განხორციელდება თანამშრომლის მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: თანამშრომლის სახელი, გვარი, პოზიცია, მოთხოვნილი მატერიალური ფასეულობის ზუსტი დასახელება, რაოდენობა, მოთხოვნის შესრულების თარიღი (საჭიროების მიხედვით), მოთხოვნის ნომერი (ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის მიერ მინიჭებული ნომერი). სასაქონლო მატერიალური ფასეულობის მოთხოვნის დოკუმენტი უნდა მომზადდეს ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამაში და ელექტრონულად უნდა გადაიგზავნოს ადმინისტრაციულ და ფინანსურ დეპარტამენტში.

8. იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ირიცხება სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე, მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის მოთხოვნის ადრესატისთვის გადაცემა „გასავლის ზედდებული“/„მიღება-ჩაბარების აქტის“ საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აპარატის თანამშრომლის მიერ მოთხოვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა არ ირიცხება სახალხო დამცველის აპარატის ბალანსზე, ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი მოთხოვნის ადრესატს 5 სამუშაო დღის განმავლობაში, წერილობით/ზეპირსიტყვიერად ატყობინებს პასუხს აღნიშნული ინვენტარის გადაცემის შესაძლებლობასთან და ვადებთან დაკავშირებით.

9. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების „მოთხოვნის დოკუმენტს“ უნდა გააჩნდეს მოთხოვნის განმახორციელებელი თანამშრომლის ხელმოწერა, ხოლო „გასავლის ზედდებულს“/„მიღება-ჩაბარების აქტს“ ხელს აწერს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის თანამშრომელი, რომელიც უფლებამოსილია გასცეს მოთხოვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა და სახალხო დამცველის აპარატის ის თანამშრომელი რომელმაც მოითხოვა/რომელსაც გადაეცა მატერიალური/არამატერიალური ფასეულობა.

10. „მოთხოვნის დოკუმენტი“ და „გასავლის ზედდებული“/„მიღება-ჩაბარების აქტი“ დასრულებული სახით, რომელსაც ექნება ყველა მითითებული რეკვიზიტი, გადაეცემა ბუღალტერს, რომელიც მითითებული დოკუმენტების (პირველადი დოკუმენტი) საფუძველზე განახორციელებს სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების ხარჯებში ჩამოწერას ან/და ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების ექსპლუატაციაში გადატანას.

11. იმ შემთხვევაში თუ აპარატში ინვენტარიზაციის ან/და შიდა შემოწმებების შედეგად დადგინდა, რომ ირიცხება ამორტიზებული ან/და გამოუსადეგარი ინვენტარი ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ზეპირი ან/და წერილობითი დავალების შედეგად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომელ(ებ)ს ავალებს მოამზადოს ამორტიზებული ან/და გამოუსადეგარი ინვენტარის სია. ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი საინვენტარიზაციო წესების გათვალისწინებით ახორციელებს ამორტიზებული ან/და გამოუსადეგარი ინვენტარის შესაბამის უწყებებისთვის გადაცემის ან/და ჩამოწერის პროცედურებს მოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად.

12. საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადაცემა განხორციელდება სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის ინიციატივით ან/და საბიუჯეტო ორგანიზაციის ოფიციალური მომართვის საფუძველზე.

13. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, კანონმდებლობის დაცვით, სხვა ორგანიზაციისთვის გადაცემაზე წერილობით გადაწყვეტილებას იღებს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე, რომლის საფუძველზეც შედგება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება ჩაბარების აქტს ხელმოწერით ადასტურებენ სახალხო დამცველის აპარატის და მიმღები მხარეების უფლებამოსილი პირები.

## **მუხლი 9. ხარჯებად აღიარება**

1. აპარატში როცა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გაიცვლება ან განაწილდება ან გადაეცემა ან ჩამოიწერება, მათი საბალანსო ღირებულება აღიარებული უნდა იქნას იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც შესაბამისი შემოსავლების აღიარება მოხდება. თუ არ არსებობს მასთან დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯის აღიარება ხდება საქონლის განაწილებისას ან გადაცემისას ან ჩამოწერისას ან მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევისას.

2. აპარატში ნებისმიერი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის ღირებულება და ყველა დანაკარგი აღიარებული უნდა იქნას როგორც ხარჯები იმ პერიოდში, როდესაც ჩამოწერას ან დანაკარგს აქვს ადგილი.

3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნებისმიერი ჩამოწერის ნებისმიერი ანულირება აღიარებულ უნდა იქნას როგორც ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თანხის შემცირება იმ პერიოდში (უკუგატარებით), როდესაც ანულირებას აქვს ადგილი.

4. აპარატში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნებისმიერი ჩამოწერა უნდა განხორციელდეს მათი განაწილების ან გადაცემის ან ჩამოწერის მომენტში.

5. მოცემულ პერიოდში ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება, შედგება

ა) იმ დანახარჯებისაგან, რომლებიც თავდაპირველადვე იყო ჩართული გადასაცვლელ ან განაწილებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასებაში და

ბ) გაუნაწილებელი ზედნადების საწარმოო ხარჯებისაგან და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზენორმატიული საწარმოო ხარჯებისაგან.

6. ერთეულის კონკრეტულ პირობებში შეიძლება თვითღირებულებაში სხვა დანახარჯების ჩართვაც, მაგალითად, მიმოქცევის დანახარჯები.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარების დროს გამოყენებული უნდა იყოს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა. აპარატმა თვითღირებულების ერთნაირი ფორმულა უნდა გამოიყენოს ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისათვის, რომლებსაც ერთეულისათვის მსგავსი ბუნება და გამოყენება აქვს. განსხვავებული ბუნების ან გამოყენების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის, შეიძლება თვითღირებულების განსხვავებული ფორმულის გამოყენება.

8. მატერიალური-ფასეულობები, რომლებიც გადანაწილდება სახალხო დამცველის აპარატის თნამშრომლებზე ხარჯებში ჩამოიწერება გადაცემის მომენტში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გადაცემული მატერიალური-ფასეულობები არის 50 ლარზე მეტი და 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და მისი სასარგებლო მომსახურების ვადა რამდენიმე თვეს შეადგენს, გადაიტანება „ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები ექსპლოატაციაში (საცნობარო ანგარიშები)“ ბალანსგარე საცნობარო ანგარიშებზე.

9. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებული უნდა იყოს:

ა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, მათ შორის, გამოყენებული თვითღირებულების ფორმულა.

ბ) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მთლიანი საბალანსო ღირებულება და საბალანსო ღირებულებები შესაბამისი კლასიფიკაციის ჯგუფების მიხედვით;



## თავი IV - ძირითადი საშუალებები (სტანდარტი N17)

### მუხლი 10. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ სსბასს 17—„ძირითადი საშუალებები“-ის შესაბამისად. წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს ძირითადი საშუალებების ბუღალტრული აღრიცხვის წესების განსაზღვრას.
2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:
  - ა) საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;
  - ბ) საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ;
  - გ) ინვენტარიზაცია/შეფასების შესახებ არსებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;
  - დ) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესები;
  - ე) ორგანიზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;
  - ვ) საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.
3. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების შედეგად წარმოშობილ დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.
4. საბალანსო ღირებულება (აღნიშნული სტანდარტის მიზნისთვის) არის თანხა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ.
5. ამორტიზებადი თანხა არის აქტივის თვითღირებულება ან მისი შემცველი სხვა ოდენობა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.
6. ცვეთა არის აქტივის ამორტიზებული თანხის სისტემური განაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.
7. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გაუფასურების დანაკარგი არის თანხა, რომლის მეშვეობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას.
8. აღდგენითი მომსახურების ღირებულება - არის უდიდესი ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებსა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.
9. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ერთეული ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვის შემთხვევაში, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ხანდაზმულობა და მდგომარეობა.
11. ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები თუ:
  - ა) იმყოფება აპარატის მფლობელობაში და გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისათვის და
  - ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს.
12. არსებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად, წარმოადგენს

კაპიტალურ შეკეთებას და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივების შექმნა. კაპიტალურ შეკეთებაში იგულისხმება აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და გაფართოება, რომელიც წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და იგი ზრდის აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, სიმძლავრეს ან ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების პერიოდს. ამასთან, ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები, რაც გავლენას არ ახდენს მათ სიმძლავრესა და სასიცოცხლო ციკლზე, აღირიცხება როგორც „საქონელი და მომსახურება“.

13. აპარატში აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის გამოყენება.

## მუხლი 11. ძირითადი საშუალებების აღიარება

1. ძირითადი საშუალებების ღირებულება აღიარდება აქტივად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივის გამოყენებით მიიღება მომსახურების პოტენციალი და  
ბ) აპარატისთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

2. აპარატში სათადარიგო და დამხმარე ნაწილები შეიძლება აღირიცხოს როგორც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და მოხმარებისას მათი აღიარება მოხდეს ერთეულის ნამეტში ან დეფიციტში. თუმცა, სათადარიგო და დამხმარე ნაწილები ძირითად საშუალებებად კვალიფიცირდება, თუ აპარატი მათ გამოყენებს ერთზე მეტი საადრიცხო პერიოდის განმავლობაში. თუ სათადარიგო ნაწილი და დამხმარე მოწყობილობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების რომელიმე კონკრეტულ ერთეულთან ერთად, ისინი უნდა აღირიცხოს ძირითადი საშუალების სახით.

3. ზოგიერთ შემთხვევაში, საზომი ერთეულების შერჩევის დროს, შესაძლებელია ერთეულების გაერთიანება (როგორცაა, ბიბლიოთეკის წიგნები, კომპიუტერის ნაწილები და აღჭურვილობა და სხვა მცირე ზომის ნივთები) და კრიტერიუმის გამოყენება აგრეგირებული ღირებულებისათვის.

4. აპარატი ყველა ძირითად საშუალებას აღიარებს შექმნის ან გადმოცემის თარიღით. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი საშუალების თავდაპირველი შექმნის ან შექმნის დროს გაწეულ დანახარჯებს და შემდგომში ნაწილების შეცვლის ან მისი მომსახურებისთვის დამატებით გაწეულ დანახარჯებს.

5. აპარატი ძირითად საშუალებების საბალანსო ღირებულებაში არ აღიარებს მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს. მეტიც, ეს თანხები უნდა აღიაროს როგორც ნამეტი ან დეფიციტი აღიარების მომენტში. ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, ძირითადად, არის შრომითი რესურსებისა და სახარჯი მარაგების თანხები და შესაძლოა ასევე მოიცავდეს მცირეფასიანი ნაწილების ღირებულებას. ეს დანახარჯები აისახება როგორც ძირითადი საშუალებების „რემონტი და მომსახურება“.

6. ძირითადი საშუალება, რომელიც დააკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს თვითღირებულებით.

7. როდესაც აქტივის შექმნა არ მოხდება გაცვლითი ოპერაციის მეშვეობით, მისი თვითღირებულება განისაზღვრება შექმნის თარიღისთვის დადგენილი რეალური ღირებულებით. ამ წესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 12. ძირითადი საშუალებების თვითღირებულების და აქტივების საბალანსო ღირებულების განსაზღვრა

1. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება არის აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტი ან აღიარების თარიღისთვის დადგენილი მისი რეალური ღირებულება.
2. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:
  - ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და სხვა შეღავათების გარეშე;
  - ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილზე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის ამ აქტივის გამოსაყენებლად;
  - გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და მისი ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომელთა გაწევის ვალდებულებას აპარატი თავის თავზე იღებს შეძენის მომენტში ან მას შემდეგ, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტივს, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების გარდა, რაიმე სხვა მიზნით გამოიყენებს.
3. აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების მაგალითებია:
  - ა) დანახარჯები დაქირავებულ მომუშავეთა სარგებელზე, რომელიც უშუალოდ წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების შექმნის ან შეძენის შედეგად;
  - ბ) ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯები;
  - გ) აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები;
  - დ) მონტაჟისა და აწყობის დანახარჯები;
  - ე) აქტივის სათანადოდ მუშაობის დასადგენად ჩატარებულ გამოცდასთან დაკავშირებული დანახარჯები, წმინდა შემოსავლების გამოკლებით, რომელიც მიიღება დანიშნულების ადგილზე მიტანილი და სამუშაო მზადყოფნაში მოყვანილი აქტივისგან წარმოებული პროდუქციის (როგორცაა, მანქანა-დანადგარის გამოცდისას წარმოებული ნიმუშები) გაყიდვიდან და
  - ვ) პროფესიული მომსახურების საფასური.
4. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება არ მოიცავს:
  - ა) ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს;
  - ბ) ახალი პროდუქციის ან მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით);
  - გ) ახალ ადგილზე ან მომხმარებლების ახალ ჯგუფთან დაკავშირებულ დანახარჯებს (პერსონალის სწავლების დანახარჯების ჩათვლით) და
  - დ) ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნადებ ხარჯებს.
5. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში დანახარჯების აღიარება მაშინ შეწყდება, როდესაც იგი უკვე მიტანილია დანიშნულების ადგილზე და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის ამ აქტივის გამოსაყენებლად. შესაბამისად, ძირითადი საშუალებების გამოყენებასთან ან მის ხელახალ გადაადგილებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აისახება საბალანსო ღირებულებაში. მაგალითად, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში არ შევა შემდეგი დანახარჯები:
  - ა) იმ დროს გაწეული დანახარჯები, როდესაც აქტივს უკვე შეუძლია მუშაობა ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად, მაგრამ ჯერ არ არის ექსპლუატაციაში შესული ან არ მუშაობს სრული დატვირთვით;
  - ბ) ერთეულის ოპერაციების მთლიანი ან ნაწილობრივი რეორგანიზაციის ან ადგილმდებარეობის შეცვლის დანახარჯები.
6. ერთი ან მეტი ძირითადი საშუალებების შეძენა შესაძლებელია არაფულად აქტივზე, აქტივებზე, ან ერთობლივად ფულად და არაფულად აქტივებზე გაცვლის გზით. (შემდეგი მსჯელობა ეხება მხოლოდ ერთი არაფულადი აქტივის მეორეზე გაცვლას, მაგრამ ასევე შესაფერისია ყველა გაცვლითი ოპერაციისთვის, რომლებიც აღწერილი იყო წინა წინადადებაში). ასეთი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც (ა) გაცვლის ოპერაციას არა

აქვს კომერციული შინაარსი ან (ბ) როდესაც არც მიღებული და არც გაცემული აქტივის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელი არ არის. შეძენილი აქტივის შეფასებაც ანალოგიურად ხდება, მაშინაც კი, როდესაც ერთეულს არ შეუძლია გაცემული აქტივის აღიარების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. თუ შეძენილი აქტივის შეფასება არ ხდება რეალური ღირებულებით, მისი თვითღირებულება განისაზღვრება გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

7. თუ აპარატს შეუძლია საიმედოდ განსაზღვროს მიღებული და გაცემული აქტივის რეალური ღირებულებები, მაშინ მიღებული აქტივის თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება გაცემული აქტივის რეალური ღირებულება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მიღებული აქტივის რეალური ღირებულება უფრო ნათელი და ადვილად დასადგენია.

8. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალება უნდა აღირიცხებოდეს თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

9. აპარატში აქტივის საბალანსო ღირებულება განისაზღვრება აქტივის თვითღირებულებისა და მისი დაგროვილი ცვეთის ანგარიშზე აკუმულირებული თანხების და გაუფასურების ზარალის სხვაობით. აღნიშნული მიდგომა ვრცელდება ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფთან მიმართებაში.

10. ძირითადი საშუალებების (ქონების) რეალური ღირებულება, ჩვეულებრივ, განისაზღვრება შეფასებით, საბაზრო მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

11. არაგაცვლითი ოპერაციიდან ძირითადი საშუალებების (ქონების) შეფასება ქონების გადმოცემის მომენტში განხორციელდება აკრედიტებული აუდიტორული/საექსპერტო ორგანიზაციის/აუდიტის/ექსპერტის მიერ.

12. აპარატი ძირითად აქტივების, გადაფასებას განხორციელებს თუ ა) მათი საბალანსო ღირებულება განულდება, მაგრამ აქტივი მომავალში სარგებლის მომტანი იქნება აპარატისთვის; ბ) იგივე აქტივების ნაწილი დაზიანდა ან გ) განხორციელდა მისი არსებითი გაუმჯობესება.

13. აპარატს უფლება აქვს ძირითად აქტივ(ებ)ის, გარდა უძრავ ქონებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ისა, გადაფასება განხორციელოს თუ ა) მათი საბალანსო ღირებულება განულდება, მაგრამ აქტივი მომავალში სარგებლის მომტანია აპარატისთვის, ბ) იგივე აქტივების ნაწილი დაზიანდა ან გ) განხორციელდა მისი არსებითი გაუმჯობესება.

14. როდესაც ტარდება ამა თუ იმ ძირითადი საშუალების გადაფასება, გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა აისახება შესაბამისი ქვემოთ მითითებული მეთოდით.

### **მუხლი 13. აქტივებთან დაკავშირებული ცვეთის თანხებისა და გაუფასურების ზარალის აღიარება.**

1. აპარატში ძირითადი საშუალებების ერთეულის თითოეულ ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ობიექტის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ცვეთა ცალ-ცალკე ერიცხება.

2. აპარატი ერთეული ძირითადი საშუალებების ცალკეული ობიექტის თავდაპირველად აღიარებული თანხიდან გამოყოფს მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნაწილებს იმ შემთხვევაში თუ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნაწილების საიმედოდ შეფასება და თითოეულ ასეთ ნაწილს ცვეთას ცალკე აღრიცხავს. ძირითადი საშუალების ობიექტის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე შემადგენელ ნაწილს შეიძლება გააჩნდეს ერთი და იგივე სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდი. ასეთი ნაწილები ცვეთის ხარჯის განსაზღვრისას შესაძლოა ერთად დაჯგუფდეს.

3. რამდენადაც აპარატი ყოველი ერთეული ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულის მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნაწილებს ცვეთას ცალკე აღრიცხავს, ასევე ცალკე ხდება ცვეთის დარიცხვა იმავე ობიექტის დანარჩენ ნაწილებზეც. დანარჩენ

ნაწილებს შეადგენს ობიექტის ის ნაწილები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის.

4. თითოეული პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებული უნდა იყოს ნამეტში ან დეფიციტში, თუ ის ჩართული არ არის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

5. აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა განაწილდეს სისტემატიურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

6. აქტივის ცვეთადი ღირებულება მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლების შემდეგ განისაზღვრება.

7. ცვეთა აქტივს მას შემდეგ ერიცხება, როცა შესაძლებელი ხდება მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას და ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად.

8. აქტივს ცვეთა მას შემდეგ აღარ ერიცხება, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. ამგვარად, ცვეთის დარიცხვა არ წყდება, როდესაც აქტივი ხდება გამოყენებელი ან აქტიური მოხმარებიდან გამოსულია, სანამ აქტივს სრულიად არ დაერიცხება ცვეთა.

9. მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე მათი ერთად შემენის შემთხვევაშიც კი. მიწას, ჩვეულებრივ, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება.

10. შენობებს შეზღუდული მომსახურების ვადა გააჩნიათ და, შესაბამისად, ცვეთად აქტივებად განიხილება. მიწის ღირებულების გაზრდა გავლენას არ ახდენს მასზე განთავსებული შენობების ცვეთადი ღირებულების განსაზღვრაზე.

11. ცვეთა დაიანგარიშება აქტივის ღირებულებიდან - საწყისი ან აფასება/გადაფასების შემდგომ არსებული ღირებულებიდან.

## მუხლი 14. აღიარების შეწყვეტა

1. აპარატში ძირითადი საშუალებების ობიექტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება:

ა) მისი აპარატიდან გასვლის შემთხვევაში;

ბ) როდესაც მისი გასხვისებიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

2. ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას უნდა ჩაირთოს ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში.

## მუხლი 15. კულტურული მემკვიდრეობის აქტივები

1. სახალხო დამცველის აპარატმა, ის კულტურული მემკვიდრეობის აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ მომსახურების პოტენციალი (მაგალითად, როდესაც ისტორიულ შენობას იყენებენ ოფისის განსათავსებლად), ვალდებულია აღიაროს და შეაფასოს ისევე, როგორც ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულები. სხვა შემთხვევაში კულტურული მემკვიდრეობის აქტივების შესახებ ინფორმაცია დაექვემდებარება განმარტებით ბარათში გამჟღავნებას.

2. კულტურული მემკვიდრეობის აქტივების, აღიარების შემდგომ, აპარატი ვალდებულია განმარტებით ბარათში გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია ასეთი აქტივების შესახებ, როგორცაა:

ა) გამოყენებული შეფასების მეთოდი;

ბ) გამოყენებული ცვეთის მეთოდი, თუ ასეთი არსებობს;

გ) სრული საბალანსო ღირებულება;

დ) პერიოდის ბოლოსთვის დაგროვილი ცვეთა, თუ ასეთი არსებობს და

ე) საბალანსო ღირებულების შედარება პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის.

## თავი V - არამატერიალური აქტივები (სტანდარტი N31)

### მუხლი 16. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ **სსბასს 31**—„არამატერიალური აქტივების“ შესაბამისად. წინამდებარე სტანდარტის მიზანია აღწეროს არამატერიალური აქტივების ბუღალტრული ასახვა, რომლებიც განხილული არაა სპეციფიურად სხვა სტანდარტებში. ეს სტანდარტი ითხოვს ერთეულისგან აღიაროს არამატერიალური აქტივი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს თუ როგორ უნდა გაიზომოს არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება და ითხოვს სპეციალურ გამჟღავნებას არამატერიალური აქტივების შესახებ.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:

ა. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;

ბ. საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ;

გ. ინვენტარიზაცია/შეფასების შესახებ არსებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;

დ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესები;

ე. ორგანიზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;

ვ. საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს არამატერიალური აქტივების შედეგად წარმოშობილ დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.

4. არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არამონეტარული აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს რესურსებზე კონტროლის განხორციელება და მას უნდა შეემდოს მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა ერთზე მეტი წლის განმავლობაში.

5. თუ არამატერიალური აქტივი არ აკმაყოფილებს იდენტიფიცირებადობის, რესურსებზე კონტროლის და მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის არსებობის კრიტერიუმებს ან/და თუ არ აკმაყოფილებს არამატერიალური აქტივის განსაზღვრებას, მათ შემენაზე ან საკუთარი ძალებით შექმნაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ხარჯებად მათი წარმოქმნისთანავე.

6. აქტივი იდენტიფიცირებადია, თუ იგი:

ა) განცალკევებადია, ე. ი. შესაძლებელია მისი გამოყოფა ერთეულიდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცვლა, ცალკე ან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, იდენტიფიცირებად აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად, იმის მიუხედავად, აქვს თუ არა განზრახული ერთეულს ამის გაკეთება ან

ბ) წარმოიქმნება დაკავშირებული სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უფლებები გადაცემადი ან გამოყოფადი ერთეულისგან ან სხვა უფლებებისგან და ვალდებულებებისგან.

7. დაკავშირებული შეთანხმება ამ სტანდარტის მიზნებისათვის ასახავს შეთანხმებას, რომელიც აკისრებს მხარეებს მსგავს უფლებებს და მოვალეობებს ისე, როგორც ხელშეკრულება დააკისრებდა.

## **მუხლი 17. აღიარება და შეფასება**

1. არამატერიალური აქტივი უნდა აღიარდეს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ:
  - ა) შესაძლებელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის ერთეულში შემოსვლა და
  - ბ) შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების ან სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება.
2. არამატერიალური აქტივი თავდაპირველად უნდა აღიარდეს თვითღირებულებით. როდესაც არამატერიალური აქტივი შეძენილია არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად, მისი თავდაპირველი ღირებულება შეძენის თარიღისათვის უნდა გაიზომოს იმ თარიღისათვის არსებული სამართლიანი ღირებულებით.
3. ჩვეულებრივ, ფასი, რომელსაც აპარატი იხდის არამატერიალური აქტივის ცალკე შესაძენად, ასახავს მის მოლოდინს შესაძლებლობაზე, რომ აქტივში განითავებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი შემოვა ერთეულში (აპარატი ელოდება ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოდიდებას, მაშინაც კი, როდესაც გაურკვეველობაა შემოდიდების დროსთან ან ოდენობასთან დაკავშირებით). ამიტომ, აღიარების კრიტერიუმში, რომ შემოდიდება მოსალოდნელია, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივებისთვის, ყოველთვის მიიჩნევა დაკმაყოფილებულად.
4. ამასთან, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება ჩვეულებრივ შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. ეს განსაკუთრებით ასეა, როდესაც შესყიდვის კომპენსაცია არის ფულის ან სხვა მონეტარული აქტივის ფორმით.
5. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს:
  - ა) მისი შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, შეღავათების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ და
  - ბ) აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეულ პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.
6. არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულებაში დანახარჯების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც აქტივი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს მისი ექსპლუატაცია მენეჯმენტისთვის საჭირო ფორმით. ამიტომაც, არამატერიალური აქტივების გამოყენებისას ან გადაადგილებისას გაწეული დანახარჯები არ შედის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში.
7. არამატერიალური აქტივის არა-გაცვლითი ოპერაციით მიღების/გადმოცემის შემთხვევებში, ერთეულის თვითღირებულება არის მიღების/გადმოცემის დროს მისი სამართლიანი ღირებულება.

## **მუხლი 18. ხარჯის აღიარება**

1. არამატერიალურ მუხლზე გაწეული დანახარჯი ხარჯის სახით უნდა აღიარდეს მაშინ, როდესაც დანახარჯი იქნება გაწეული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი წარმოადგენს იმ არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილს, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს.
2. აპარატს შეუძლია წინასწარი გადახდის შემთხვევაში მომსახურება/საქონელი აღიაროს არამატერიალური აქტივის სახით, წინასწარ გადახდილი თნხის ოდენობით, როდესაც მომსახურებისთვის/საქონლისთვის გადახდა განხორციელებულია წინასწარ, სანამ აპარატი ამ მომსახურებას/საქონელს მიიღებს.

3. აპარატის დანახარჯი არამატერიალურ მუხლზე, რომელიც აპარატის მიერ წინა წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ან შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდა როგორც ხარჯი, შემდგომში არ უნდა აღიარდეს როგორც არამატერიალური აქტივის თვითღირებულების ნაწილი.

4. საწყისი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი უნდა აისახოს ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის ოდენობით შემცირებული თვითღირებულებით.

### **მუხლი 19. სასარგებლო მომსახურების ვადა**

1. აპარატმა უნდა შეაფასოს, განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და თუ განსაზღვრულია, როგორია მისი ხანგრძლივობა, მწარმოებლურობა ან მსგავსი მახასიათებელი. აპარატის მიერ არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მიიჩნევა განუსაზღვრელად, თუ ყველა მიმდინარე ფაქტორის გაანალიზების შემდეგ ვერ განისაზღვრება იმ პერიოდის შეზღუდვა, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივის მიერ ერთეულში ფულადი სახსრების ნაკადების შემოსვლის გამომუშავება ან მომსახურების პოტენციალის შემოდინება.

2. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა დამოკიდებულია მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალური აქტივი განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება. ხოლო არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

3. არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შესაძლოა ძალიან ხანგრძლივი ან განუსაზღვრელიც კი იყოს. განუსაზღვრელობის გამო გამართლებულია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის წინდახედულად შეფასება, მაგრამ არ არის გამართლებული არარეალურად ხანმოკლე ვადის შერჩევა.

4. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ამორტიზება მაშინ უნდა დაიწყოს, როცა შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., მისი იმ ადგილას და იმ მდგომარეობაში ყოფნისას, როცა მისი გამოყენება მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფორმით არის შესაძლებელი.

5. აპარატი იყენებს არამატერიალური აქტივების ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. ყოველი პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამდებარე ან სხვა სტანდარტი ნებას რთავს ან მოითხოვს, რომ ეს ხარჯი შეტანილ იქნეს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

6. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი უნდა გადაისინჯოს, სულ მცირე, ყოველი წლის ბოლოს. თუ აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინა შეფასებისაგან, მაშინ ამორტიზაციის პერიოდი შესაბამისად უნდა შეიცვალოს. თუ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალის ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა, მაშინ ამორტიზაციის მეთოდი აღნიშნული ცვლილების ასახვის მიზნით უნდა შეიცვალოს.

7. არამატერიალური აქტივის აღიარება უნდა შეწყდეს:

ა) მისი გასვლისას (არაგაცვლითი ოპერაციით გასვლის ჩათვლით) ან

ბ) როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შედეგად.

8. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის. იგი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში 9. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის



ამორტიზება აქტივის გამოყენების შეწყვეტის შემდეგაც გრძელდება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ის ბოლომდე ამორტიზებული ან გასაყიდად გამიზნულად არის კლასიფიცირებული (ან შეტანილია გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული აქტივების სალიკვიდაციო ჯგუფში) აღრიცხვის შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს და შეწყვეტილ ოპერაციებს ეხება.

## **მუხლი 20. განმარტებითი შენიშვნები**

1. თითოეული არამატერიალური აქტივისათვის შენიშვნებში უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ შეფასებული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება და მიზეზები, რომლებიც ადასტურებს ამ აქტივის განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას. ამ მიზეზების ჩამოთვლისას ერთეულმა უნდა აღწეროს ფაქტორ(ებ)ი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოცემული არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განუსაზღვრელად მიჩნევაში;

ბ) ერთეულის ფინანსური ანგარიშგებისათვის არსებითი ნებისმიერი ინდივიდუალური არამატერიალური აქტივის აღწერა, საბალანსო ღირებულებისა და დარჩენილი ამორტიზაციის პერიოდის მითითებით;

გ) არაგაცვლითი ოპერაციებით მიღებული/გადმოცემული და თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არამატერიალური აქტივებისათვის:

- ამ აქტივებისათვის თავდაპირველად აღიარებული სამართლიანი ღირებულება;
- მათი საბალანსო ღირებულება და
- როგორ აღირიცხება აქტივები აღიარების შემდგომ: თვითღირებულების მოდელით თუ გადაფასების მოდელით.

დ) იმ არამატერიალური აქტივების არსებობა და საბალანსო ღირებულება, რომელთა კონტროლის უფლება შეზღუდულია და ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება და

ე) არამატერიალური აქტივების შეძენის სახელშეკრულებო ვალდებულებების თანხა.

2. აპარატის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აპარატმა სააღრიცხვო პოლიტიკაში უნდა ასახოს არამატერიალური აქტივების ნაწილში საჭირო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების ხასიათი და ოდენობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდში ან მოსალოდნელია, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს შემდგომ პერიოდებში. ასეთი ასახვა შესაძლოა გამომდინარეობდეს ცვლილებებიდან, რომლებიც მოხდა:

ა) არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებაში;

ბ) ამორტიზაციის მეთოდში;

გ) ნარჩენ ღირებულებაში.

## **თავი VI - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები (სტანდარტი N4)**

### **მუხლი 21. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების აღრიცხვა**

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ სსბასს 4—„უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების“ შესაბამისად.

წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების ბუღალტრული აღრიცხვის წესების განსაზღვრას. კერძოდ, თუ როგორ შეიტანოს უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსურ ანგარიშგებაში და როგორ გადაიანგარიშოს ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში ძირითადი საკითხებია: (ა) რომელი გაცვლითი კურს(ებ)ი იქნეს გამოყენებული და (ბ) როგორ აისახოს გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;

ბ) საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული უცხოური ვალუტის მიმართ;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები;

დ) ორგანოზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;

ე) საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგებით წარმოშობილ დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.

4. აპარატმა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისა და არსებული ნაშთების ბუღალტრული აღრიცხვისათვის, აპარატის ფინანსური შედეგებისა და მისი ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშებისას უნდა გამოიყენოს წინამდებარე წესები (თავი 6).

5. ოპერაცია უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს ოპერაციას, რომელიც აისახება უცხოურ ვალუტაში ან მოითხოვს დაფარვას უცხოურ ვალუტაში, მათ შორის, ისეთი ოპერაციები, რომლებსაც ადგილი აქვთ როდესაც აპარატი: ყიდულობს საქონელს ან მომსახურებას, რომლის ფასიც გამოსახულია უცხოურ ვალუტაში.

6. თავდაპირველი აღიარებისას უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაცია უნდა ჩაიწეროს სამუშაო ვალუტაში, სამუშაო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

7. აპარატში თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის ფულადი მუხლები უცხოური ვალუტაში გადაანგარიშდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის გამოყენებით;

8. რამდენიმე გაცვლითი კურსის არსებობის შემთხვევაში, მათგან ის გამოიყენება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოცემული ოპერაციით ან ნაშთით წარმოდგენილი მომავალი ფულადი სახსრების ნაკადების დაფარვა, თუ ამ ფულადი სახსრების ნაკადებს ადგილი ექნებოდათ შეფასების თარიღისათვის. მათ შორის:

ა) იმ შემთხვევაში, თუ დონორთან გაფორმებულ დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს მომავალში სახალხო დამცველის აპარატისთვის უცხოურ ვალუტაში შემოსავლის მიღებას, საანგარიშგებო ვალუტად მითითებულია უცხოური ვალუტა, ხოლო დონორი სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო სამსახურის ანგარიშზე ჩარიცხავს ქართულ ლარს, სახალხო დამცველის აპარატის აღრიცხვა ანგარიშგების მიზნებისთვის, აპარატი ვალდებულია, იგივე ხელშეკრულებით შემოსავლების/ხარჯების აღიქვას, გამოიყენოს დონორის მიერ ჩარიცხვის დღეს არსებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დონორთან გაფორმებულ დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს მომავალში სახალხო დამცველის აპარატისთვის უცხოურ ვალუტაში შემოსავლის მიღებას, საანგარიშგებო ვალუტად მითითებულია უცხოური ვალუტა, დონორი სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო სამსახურის ანგარიშზე ჩარიცხავს უცხოურ ვალუტას, ხოლო სახალხო დამცველის აპარატი მოახდენს კონვერტაციას, სახალხო დამცველის აპარატის აღრიცხვა ანგარიშგების მიზნებისთვის, აპარატი ვალდებულია, იგივე

ხელშეკრულებით შემოსავლების/ხარჯების აღიკვეთისას, გამოიყენოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ კონვერტაციის დღეს არსებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი ან ოპერაციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსი.

9. თუ სახალხო დამცველის აპარატის სახაზინო ანგარიშზე განთავსებულია უცხოური ვალუტა, აპარტი ვალდებულია არსებული ფინანსური რესურსები დააკორექტიროს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად, წარმოქმნილი ნამეტი/დეფიციტი ასახოს შესაბამის ანგარიშგებზე არასაოპერაციო ხარჯების/არასაოპერაციო შემოსავლების შესაბამისად.

10. საკურსო სხვაობების აღიარება - საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება (ა) ფულადი მუხლების დაფარვისას, (ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ან ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი მუხლების თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული კურსისაგან განსხვავებული კურსით გადაანგარიშებისას, აღიარებულ უნდა იქნეს როგორც აქტივების წმინდა ღირებულების ზრდა ან კლება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნებიან, როდესაც უცხოური ვალუტის ოპერაციის შედეგად წარმოიქმნება ფულადი მუხლები და ოპერაციის თარიღსა და ანგარიშსწორების თარიღს შორის სავალუტო კურსი იცვლება, შედეგად ვიღებთ საკურსო სხვაობას. როდესაც ოპერაციის ანგარიშსწორება ხდება იმავე სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც განხორციელდა ოპერაცია, მთელი საკურსო სხვაობა აღიარდება ამ პერიოდში. თუმცა, როდესაც ოპერაციის ანგარიშსწორება ხდება მომდევნო სააღრიცხვო პერიოდში, თითოეულ პერიოდში აღიარებული საკურსო სხვაობა ანგარიშსწორების თარიღამდე განისაზღვრება თითოეული პერიოდის განმავლობაში გაცვლითი კურსის ცვლილების შესაბამისად.

11. აპარტმა განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინო მოგებაში ან ზარალში აღიარებული საკურსო სხვაობები.

## **თავი VII - ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება (სტანდარტი 21)**

### **მუხლი 22. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების აღრიცხვა**

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ სსბასს 21 —, „ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების“ შესაბამისად. წინამდებარე სტანდარტის მიზანია იმ პროცედურების განსაზღვრა, რომლებსაც აპარტი გამოიყენებს ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების დადგენისას და გაუფასურების ზარალის აღიარებისათვის წინამდებარე სტანდარტი ასევე ადგენს, როდის უნდა მოხდეს ერთეულის მიერ გაუფასურების ზარალის აღდგენა და განსაზღვრავს განმარტებით შენიშვნებში ასახვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და განსაზღვრავს ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურების ბუღალტრული აღრიცხვის წესებს.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;

ბ) საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ;

- გ) ინვენტარიზაცია/შეფასების შესახებ არსებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;
- დ) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესები;
- გ) ორგანოზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;
- ე) საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.
3. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურებით წარმოშობილ დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.
4. ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გამოყენებითი ღირებულება არის აქტივის გამოყენების დარჩენილი პოტენციალის მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება.
5. ცვეთა/ამორტიზაცია არის აქტივის ცვეთის თანხის სისტემატური განაწილება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ზოგადად, არამატერიალური აქტივის მიმართ ტერმინ ცვეთის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი ამორტიზაცია. ორივე ტერმინს იდენტური მნიშვნელობა გააჩნია.
6. წინამდებარე სტანდარტის მიხედვით, გაუფასურება არის აქტივის მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის დანაკარგი, რომელიც აღემატება აქტივის მომავალ ეკონომიკური სარგებლის სისტემატურ აღიარებულ დანაკლისს ან მომსახურების პოტენციალის შემცირებას ცვეთის (ამორტიზაციის) შედეგად. ამდენად, გაუფასურება ასახავს აქტივის მომავალი სარგებლიანობის შემცირებას იმ ერთეულისათვის, რომელიც ამ აქტივს ფლობს. აქტივი მიიჩნევა გაუფასურებულად, როდესაც ეს აქტივი ერთეულს ვეღარ აძლევს მომსახურების პოტენციალს - მას ერთეულის მიერ დასახული მიზნების მიღწევისათვის მხოლოდ მცირედი სარგებლის მოტანა შეუძლია ან საერთოდ არ შეუძლია.

### **მუხლი 23. შესაძლო გაუფასურებული აქტივის იდენტიფიცირება**

1. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აპარტმა უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მაჩვენებლები აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აპარატი ვალდებულია შეაფასოს აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულება.
2. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა რაიმე სახის მაჩვენებელი გაუფასურებაზე, აპარატი ვალდებულია ყოველწლიურად, სავალდებულო ინვენტარიზაციის დაწყებამდე, შეამოწმოს განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე ან ჯერ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და გამოყენების აღდგენითი ღირებულებების შედარების გზით. აპარატი სულ მცირე, ყოველწლიურად განახორციელებს ჯერ გამოუყენებადი არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულების შემოწმებას.
3. აპარატმა შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლების არსებობის დადგენისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მაჩვენებლები:

#### **ინფორმაციის გარე წყაროები:**

- ა) აქტივის მიერ მოწოდებული მომსახურების მოთხოვნის ან საჭიროების სრული ან თითქმის სრული შეწყვეტა;
- ბ) მოცემულ პერიოდში მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ცვლილებები მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება ცვლილებები იმ ტექნოლოგიურ, სამართლებრივ ან პოლიტიკურ გარემოში, სადაც ეს ერთეული ფუნქციონირებს და უარყოფით გავლენას ახდენს ერთეულზე;

#### **ინფორმაციის შიდა წყაროები**

- გ) არსებობს აქტივის ფიზიკური დაზიანების მტკიცებულება;

დ) მოცემულ პერიოდში მოხდა, ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ერთეულსა და აქტივის მიმდინარე ან შემდგომ გამოყენებაზე. აღნიშნულ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის უმოქმედობა, იმ საქმიანობის შეწყვეტის ან რესტრუქტურისაციის გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი და მოსალოდნელ თარიღზე ადრე აქტივის ერთეულიდან გასვლის გეგმა და სასარგებლო მომსახურების ვადის ხელახალი შეფასების შედეგად, განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივად შეფასება;

ე) გადაწყვეტილება, შეჩერდეს აქტივის მშენებლობა მანამდე, ვიდრე იგი დასრულდება ან აქტივის საექსპლუატაციო მდგომარეობაში მიყვანამდე;

ვ) შიდა ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ აქტივის მწარმოებლობა მოსალოდნელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა ან მომავალში გაუარესდება. შიდა ანგარიშგებიდან მიღებულია მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე, უმეტესწილად, შეეხება აქტივის უნარს, აწარმოოს საქონელი ან მომსახურება და არა აქტივის მიერ მიწოდებული საქონლის ან მომსახურების მოთხოვნის შემცირებას. აღნიშნული მოიცავს შემდეგი პირობების არსებობას: აქტივის ფუნქციონირების ან მომსახურებისათვის საჭირო დანახარჯების ოდენობა, რომელიც მნიშვნელოვნად მეტია იმაზე, რაც თავდაპირველად ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

4. აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლის არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს მოცემული აქტივის: (ა) დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის, (ბ) ცვეთის (ამორტიზაციის) მეთოდის ან (გ) ნარჩენი ღირებულების გადასინჯვის საჭიროებასა და კორექტირებაზე შესაბამისი სსბასს-ის მიხედვით, მაშინაც კი, როცა აქტივის გაუფასურების ზარალი აღიარებული არ არის.

#### **მუხლი 24. გაუფასურების ზარალის აღიარება და შეფასება**

1. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის აღდგენით ღირებულებამდე მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის აღდგენითი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს.

2. აპარატს მაშინ მოეთხოვება აღდგენითი ღირებულების ოფიციალური შეფასება, თუ არსებობს რაიმე მაჩვენებლები შესაძლო გაუფასურების ზარალზე.

3. აპარატმა გაუფასურების ზარალი უნდა აღიაროს ნამეტში ან დეფიციტში.

4. თუ შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა აღემატება შესაბამისი აქტივის საბალანსო ღირებულებას, აპარატმა ვალდებულია უნდა აღიაროს მხოლოდ მაშინ, თუ ეს მოითხოვება სხვა სსბასს-ის მიერ.

5. თუ შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა აღემატება შესაბამისი აქტივის საბალანსო ღირებულებას, აქტივის საბალანსო ღირებულება დაიყვანება ნულზე, ხოლო შესაბამისი თანხა აღიარდება ნამეტში ან დეფიციტში.

6. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მოცემული აქტივის ცვეთის (ამორტიზაციის) თანხა უნდა კორექტირდეს შემდეგი პერიოდებისათვის, რათა მოხდეს აქტივის ნარჩენი ღირებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კორექტირებული საბალანსო ღირებულების სისტემატური განაწილება აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. (სასარგებლო მომსახურების ვადა არ იცვლება ე.ი. პროცენტი არ იცვლება, კორექტირდება დარიცხული ცვეთის თანხის მოცულობა - აქტივი როცა გაუფასურდება მანამდე პერიოდზე დაერიცხება ცვეთა, ხოლო რაც დაჩება ჩამოიწერება ზარალში).

#### **მუხლი 25. გაუფასურების ზარალის აღდგენა**

1. აქტივთან დაკავშირებით, წინა საანგარიშგებო პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება აღდგენას, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ ცვლილება მოხდა მოცემული აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში. ამ შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის აღდგენით ღირებულებამდე, აღნიშნული ზრდა წარმოადგენს გაუფასურების ზარალის აღდგენას.
2. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, აპარატმა უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე მაჩვენებელი იმისა, რომ წინასაანგარიშგებო პერიოდებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, ერთეულმა უნდა შეაფასოს მოცემული აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულება.
3. აქტივთან დაკავშირებით, წინა საანგარიშგებო პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება აღდგენას, თუ გაუფასურების ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ ცვლილება მოხდა მოცემული აქტივის გამოყენების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ შეფასებებში. ამ შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის აღდგენით ღირებულებამდე, განსაზღვრული შემთხვევებისა. აღნიშნული ზრდა წარმოადგენს გაუფასურების ზარალის აღდგენას.
4. გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციის ან ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა საანგარიშგებო პერიოდებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.
5. აქტივის გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს ნამეტში ან დეფიციტში.
6. გაუფასურების ზარალის აღდგენის აღიარების შემდეგ აქტივის ცვეთის (ამორტიზაციის) თანხა უნდა კორექტირდეს მომავალი პერიოდებისათვის, რათა აქტივის გადასინჯული საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით გადანაწილდეს სისტემატურად, აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

## **მუხლი 26. განმარტებითი შენიშვნები**

1. აპარატმა აქტივების თითოეული კლასისათვის განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:
  - ა) მოცემული პერიოდის განმავლობაში ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული გაუფასურების ზარალი და ფინანსური შედეგების ანგარიშგების ის მუხლი (მუხლები), რომელიც მოიცავს გაუფასურების ზარალის თანხებს;
  - ბ) მოცემული პერიოდის განმავლობაში ნამეტში ან დეფიციტში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა და ფინანსური შედეგების ანგარიშგების ის მუხლი (მუხლები), რომელშიც ასახულია გაუფასურების ზარალის აღდგენა.
2. თუ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული ან აღდგენილ იქნა არსებითი გაუფასურების ზარალი, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია:
  - ა) ის მოვლენები და გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია გაუფასურების ზარალის აღიარება ან აღდგენა;
  - ბ) აღიარებული ან აღდგენილი გაუფასურების ზარალის თანხა;
  - გ) აქტივის შინაარსი;
  - დ) წარმოადგენს თუ არა აქტივის აღდგენითი ღირებულება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას ან მის გამოყენებით ღირებულებას;
  - ე) თუ გამოყენების აღდგენით ღირებულებას წარმოადგენს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება, ამ უკანასკნელის განსაზღვრის საფუძველი (მაგალითად, განისაზღვრა თუ არა რეალური ღირებულება აქტიური ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე) და

ვ) თუ აღდგენით ღირებულებას წარმოადგენს გამოყენებითი ღირებულება, გამოყენების ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული მეთოდი.

## თავი VIII - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები (სტანდარტი N14)

### მუხლი 27. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების აღრიცხვა

1. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ სსბასს 14— „ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების“ შესაბამისად. წინამდებარე სტანდარტი მიზნად ისახავს ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენებით გამოწვეული ბუღალტრული აღრიცხვის წესების განსაზღვრას. კერძოდ, როდის უნდა მოახდინოს ერთეულმა თავისი ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების გამო და განმარტებები, რომლებიც ერთეულმა უნდა გააკეთოს იმ თარიღის შესახებ, როდესაც მიღებულ იქნა ნებართვა, ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის და ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების შესახებ.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;

ბ) საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ;

გ) ინვენტარიზაცია/შეფასების შესახებ არსებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;

დ) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესები;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები;

ვ) ორგანიზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;

ზ) საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა არ ითვალისწინებს ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების შედეგად წარმოშობილ დაბეგვრის შედეგების განსაზღვრას და არ მოიცავს დაბეგვრის შედეგებთან დაკავშირებულ დებულებებს.

4. ანგარიშგების თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღეს, რომელსაც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგება.

5. ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის გაცემის თარიღი ის თარიღია, როდესაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, ინდივიდუალური პირის ან ხელმძღვანელობის მიერ.

### მუხლი 28. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები

1. აპარატმა უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების ასახვის მიზნით, თუ სახეზეა რომელიმე გარემოება:

ა) ანგარიშგების თარიღის შემდეგ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადასტურდება, რომ აპარატს ანგარიშგების თარიღისათვის უკვე ჰქონდა მიმდინარე ვალდებულება.

- ბ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ მიიღება ისეთი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ ანგარიშგების თარიღისათვის აქტივი გაუფასურებული იყო, ან მანამდე, ამ აქტივის გაუფასურების გამო, საჭიროა აღიარებული ზარალის თანხის კორექტირება.
- გ) ანგარიშგების თარიღამდე შემენილი აქტივების თვითღირებულების დადგენა მოხდენა ანგარიშგების თარიღის შემდეგ;
- დ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა, რომელიც, შემოსავლის განაწილების შესახებ შეთანხმების თანახმად, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სხვა ხელისუფლებას უნდა გაუნაწილდეს;
- ე) თაღლითობის ან შეცდომების აღმოჩენა, რომელიც ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არასწორი იყო.
2. ამ მუხლში მოყვანილი ცვლილებები დაკორექტირდება რეტროსპექტულად იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პერიოდის დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში ასახული კაპიტალის მოცულობის 10% ცვლილებას (ზრდა/კლება) გამოიწვევს, ყველა სხვა შემთხვევაში კორექტირება განხორციელდება პერსპექტიულად.
3. აპარატმა ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა მოახდინოს აღიარებული თანხების კორექტირება, ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.

## **მუხლი 29. განმარტებითი შენიშვნები**

1. აპარატმა განმარტებებში უნდა მიუთითოს თარიღი, როდესაც მიღებულ იქნა ნებართვა ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად და ნებართვის გამცემის ვინაობა.
2. თუ აპარატი ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის თარიღამდე, იღებს ინფორმაციას ანგარიშგების თარიღისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ, მან ახალი ინფორმაციის საფუძველზე უნდა განაახლოს განმარტებები, რომლებიც ამ პირობებს ეხება.
3. ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები: თუ ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები იმდენად არსებითია (არსებითად ჩაითვლება, თუ იწვევს კაპიტალის ზრდა/შემცირება 10%-ით), რომ განმარტებების არქონამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ სათანადო შეფასებების გაკეთებისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობაზე, ერთეულმა ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების თითოეული მნიშვნელოვანი კატეგორიისათვის აუცილებლად უნდა განმარტოს შემდეგი:
- ა) მოვლენის ხასიათი და
- ბ) მისი ფინანსური შედეგის წინასწარი შეფასება ან განცხადება, რომ ასეთი წინასწარი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.
4. ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები განმარტებებში აისახება, თუ:
- ა) ქონების ღირებულების უჩვეულოდ მკვეთრი შემცირება, რომელიც მის რეალურ ღირებულებას შეეხო, როდესაც ეს შემცირება არ არის დაკავშირებული ქონების მდგომარეობასთან ანგარიშგების თარიღისათვის, მაგრამ გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც ამ თარიღის შემდეგ წარმოიქმნა;
- ბ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ ძირითადი კონტროლირებული ერთეულის შექმნა ან გაყიდვა ან ერთეულის მიმდინარე საქმიანობის მთლიანად ან მისი უდიდესი ნაწილის სხვა ერთეულისთვის გადაცემა;
- გ) ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პროგრამის ან საქმიანობის შეწყვეტის გეგმის შესახებ განცხადება, აქტივების გაყიდვა ან შეწყვეტილ პროგრამასა თუ საქმიანობასთან მიმართებაში არსებული ვალდებულებების გადაწყვეტა, ისეთი შეთანხმების დადება რომელიც ავალდებულებს, გაყიდოს ასეთი აქტივები ან დაფაროს ასეთი ვალდებულებები (შეწყვეტილი საქმიანობის განმარტებებისა და მისდამი მიდგომისათვის მითითებები



- შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის საერთაშორისო თუ ეროვნულ საბუღალტრო სტანდარტებში, რომლებიც შეწყვეტილ საქმიანობას ეხება);
- დ) აქტივების მნიშვნელოვანი შესყიდვის ან გაყიდვის ფაქტები;
- ე) ანგარიშგების თარიღის შემდეგ ძირითადი საწარმოო მოწყობილობების ხანძრის მიერ განადგურება;
- ვ) უჩვეულოდ დიდი ცვლილებები აქტივის ფასებში ან ვალუტის გაცვლის კურსებში ანგარიშგების თარიღის შემდეგ;
- ზ) ისეთი ერთეულების შემთხვევაში, რომლებიც ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის ან მისი ეკვივალენტის გადახდას, საგადასახადო განაკვეთებში ან საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ანგარიშგების თარიღის შემდეგ ძალაში შესული ან გამოცხადებული ცვლილებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიმდინარე და გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე (მითითებები საშემოსავლო გადასახადების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის საერთაშორისო თუ ეროვნულ საბუღალტრო სტანდარტებში, რომლებიც საშემოსავლო გადასახადს ეხება);
- თ) მნიშვნელოვანი ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების აღება, მაგალითად, მნიშვნელოვანი გარანტიების შექმნის გზით ანგარიშგების თარიღის შემდეგ;
- ი) მნიშვნელოვანი სასამართლო დავის დაწყება, რომელიც მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენებიდან წარმოიშვა.

## **თავი IX - ხარჯები არასაოპერაციო შემოსავლები**

### **მუხლი 30. ხარჯების აღრიცხვის წესი**

1. ხარჯების სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების), „ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 მაისის №17 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის „ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის ბრძანება №99 2019 წლის 5 აპრილის „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სააღრიცხო პოლიტიკის წინამდებარე თავი მიზნად ისახავს სახალხო დამცველის აპარატის ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წესების განსაზღვრას.
2. სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის კრიტერიუმებია ასევე:
  - ა) საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნები და სახაზინო მომსახურების პრინციპები;
  - ბ) საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები საბიუჯეტო ორგანიზაციების სახელზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ;
  - გ) ინვენტარიზაციის/შეფასების შესახებ არსებული ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული/დამტკიცებული ინსტრუქციები, მოთხოვნები და პირობები;
  - დ) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესები;
  - ე) საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციები;
  - ვ) ორგანიზაციის სპეციფიკა, სააღრიცხვო სამსახურის მომუშავეთა უნარ - ჩვევები;
  - ზ) საჯარო და კერძო სექტორში არსებული პრაქტიკა.

3. ხარჯები – ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან გამოყენების, ან ვალდებულებების აღების სახით, რაც იწვევს წმინდა აქტივების/კაპიტალის შემცირებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეებზე განხორციელებულ განაწილებასთან;

4. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

5. კლასიფიკაციის მიხედვით, აპარტში ხარჯები იყოფა 7 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

- ა) შრომის ანაზღაურება,
- ბ) საქონელი და მომსახურება,
- გ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება,
- დ) სუბსიდიები,
- ე) გრანტები,
- ვ) სოციალური უზრუნველყოფა და
- ზ) სხვა ხარჯები.

6. აპარტი ხარჯების აღრიცხვას განხორციელებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების (ჯგუფების) შესაბამისად. კერძოდ, აპარტი ხარჯებს აღრიცხავს შინაარსიდან გამომდინარე და მათ მიაკუთვნებს შესაბამისი ეკონომიკური კლასიფიკაციის ჯგუფებს (მუხლებს).

6. ხარჯვითი ოპერაციის აღრიცხვაში ასახვის დრო დარიცხვის მეთოდით განისაზღვრება.

7. წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვა ხორციელდება ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამის მუხლში, სადაც წარმოიქმნა კონკრეტული დავალიანება ხარჯის ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, გარდა სხვა ხარჯების მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

8. წინასწარ გაწეული ხარჯების აღრიცხვა - წინასწარ გაწეული ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომელიც გაიწევა მიმდინარე პერიოდში, ხოლო ეკონომიკური სარგებელი მათგან მიიღება მომავალში. წინასწარ გადახდილი გადასახდელები წარმოადგენს აქტივს, მაგრამ წლის ბოლოს აუცილებლად უნდა მოხდეს გადაანგარიშება, თუ აქედან რა ნაწილი მიეკუთვნება მიმდინარე წელს და გადატანილი იქნას მიმდინარე პერიოდის ხარჯების ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი თანხა გადავიდეს ბალანსში აქტივის სახით.

### **მუხლი 31.საოპერაციო ხარჯების აღრიცხვა**

1. საოპერაციო ხარჯები გაიწევა აპარტის მიერ ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში;

2. საოპერაციო ხარჯი წარმოადგენს ოპერაციის შედეგად კაპიტალის შემცირებას;

3. აპარტში საოპერაციო ხარჯების იდენტიფიკაციას ეკონომიკური სახეების მიხედვით ახდენს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია, რომელიც ხარჯებს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აჯგუფებს:

- ა) შრომის ანაზღაურება,
- ბ) საქონელი და მომსახურება,
- გ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება,
- დ) სუბსიდიები,
- ე) გრანტები,
- ვ) სოციალური უზრუნველყოფა და
- ზ) სხვა ხარჯები.

4. საოპერაციო ხარჯების ბუღალტრულ ანგარიშებზე აღრიცხება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებით განსაზღვრული ხარჯები.

5. აპარტი სახელმწიფო ერთეულზე (ერთი დონის სახელმწიფო სტრუქტურა) ყველა სახის აქტივის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში, ამ ოპერაციას არ ასახავს საოპერაციო ხარჯებში და აისახავს როგორც კაპიტალის ანგარიშის შემცირება აქტივის გასვლით.

6. აპარატი სახელმწიფო ერთეულზე (სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურა) აქტივის (გარდა მოკლევადიანი აქტივების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში, საოპერაციო ხარჯი აისახება კაპიტალური ტრანსფერის სახით, როგორც კაპიტალური გრანტი, ხოლო მოკლევადიანი აქტივების და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა – როგორც მიმდინარე გრანტი.

7. სხვა ერთეულებზე ან საოჯახო მეურნეობებზე აქტივების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში, საოპერაციო ხარჯი აისახება სუბსიდიის, სოციალური დახმარების და სხვადასხვა ხარჯის შესაბამის კატეგორიაში.

8. ზედმეტად ან შეცდომით გაწეული ხარჯების მობრუნებები აისახება უარყოფით ხარჯად, მიუხედავად იმისა, რომელ საანრიშგებო პერიოდში მოხდა მათი გაწევა.

9. არაგაცვლითი ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი საოპერაციო ხარჯების (კომპენსაციები, სანქციები, ჯარიმები, ქონების კონფისკაცია და სხვ.) ასახვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ფულადი სახსრების და სასაქონლო ფორმით ვალდებულების წარმოქმნისას, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებით/ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილების გამოქვეყნებით ან ხელშეკრულების პირობებით.

10. საოპერაციო ხარჯების დარიცხვა აღირიცხება ხარჯების ანგარიშების დებეტში, შესაბამისი ანგარიშების კრედიტთან კორესპონდენციით.

11. საოპერაციო ხარჯების ანგარიშები, ხარჯების შინაარსიდან გამომდინარე, გადაიხურება კაპიტალის ანგარიშებთან.

12. ხარჯის გაწევა შესაძლებელია ასიგნების ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასიგნების ზევით ფაქტობრივი ხარჯის გაწევა დაუშვებელია, გარდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და მრავალწლიანი შესყიდვებით ნაკისრი ვალდებულებებისა.

13. ოპერაციების განხორციელებაზე ნებისმიერი გადასახდელი, მომსახურების საფასური, მოსაკრებლები, საკომისიოები და მსგავსი გადახდები, განიხილება როგორც ხარჯვითი ოპერაციები.

14. აპარატში საოპერაციო ხარჯების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახვა, თითოეული ჯგუფის მიხედვით უნდა განახორცილოს შემდეგი პირველადი დოკუმენტი(ებ)ს შესაბამისად:

**ა) შრომის ანაზღაურების ხარჯები (21):**

აპარატი შრომის ანაზღაურების ხარჯებს აღიარებს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის და შესაბამისი ცვლილებების ბრძანებების მიხედვით შედგენილი სახელფასო უწყისის შესაბამისად. სახელფასო უწყისს ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ბღალტერი ან მათი შემცვლელი პირები. სახელფასო უწყისს უნდა ჰქონდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, უწყისის მომზადების თარიღი, თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დარიცხული შრომის ანაზღაურების ოდენობა, სამუშაო (ნამუშევარი) დღეების რაოდენობა, დარიცხული დანამატის ან/და ჯილდოს ოდენობა (არსებობის შემთხვევაში) საშემოსავლო გადასახადის (სხვა გადასახადების) ოდენობა, საპენსიო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა და ხელზე ასაღები თანხის ოდენობა. უწყისში მითითებული ფინანსური მაჩვენებლები უნდა იყოს დაანგარიშებული სრული სიზუსტით.

**ბ) საქონელი და მომსახურება (22)**

**ბ.ა) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება (221):**

აპარატი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ხარჯებს აღიარებს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის ან/და შესაბამისი ცვლილებების ბრძანებების ან/და შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულ პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ან/და ხელშეკრულების ცვლილებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და დაქირავებულ პირთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების

(ასეთს არსებობის შემთხვევაში) აქტის მიხედვით შედგენლი სახელფასო უწყისის შესაბამისად. სახელფასო უწყისს ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ბლალტერი ან მათი შემცვლელი პირები. სახელფასო უწყისს უნდა ჰქონდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, უწყისის მომზადების თარიღი, თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დარიცხული შრომის ანაზღაურების ოდენობა, სამუშაო (ნამუშევარი) დღეების რაოდენობა, დარიცხული დანამატის ან/და ჯილდოს ოდენობა (არსებობის შემთხვევაში) საშემოსავლო გადასახადის (სხვა გადასახადების) ოდენობა, საპენსიო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა და ხელზე ასაღები თანხის ოდენობა. უწყისში მითითებული ფინანსური მაჩვენებლები უნდა იყოს დაანგარიშებული სრული სიზუსტით.

### **ბ.ბ) მივლინება (222);**

აპარატი მივლინების ხარჯებს აღიარებს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის (ბრძანება ან და სხვა დოკუმენტის) ან/და ხელმძღვანელობის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის (ბრძანება ან/და სხვა დოკუმენტი) შესაბამისი ცვლილებების მიხედვით შედგენლი სამივლინებო უწყისის ან/და სამივლინებო ფურცელის/ფორმის შესაბამისად.

სამივლინებო უწყისს ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ბლალტერი ან მათი შემცვლელი პირები. სამივლინებო ფურცელს/ფორმას ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი/ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის უფროსი და მთავარი ბლალტერი ან მათი შემცვლელი პირები და მივლინებული პირი.

მივლინების უწყისს უნდა ჰქონდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები, დაფინანსების წყარო (გრანტის შემთხვევაში კონკრეტულად მიზნობრივი გრანტის რეკვიზიტები) უწყისის მომზადების თარიღი, თანამშრომლის სახელი, გვარი, მივლინების პერიოდი/ხანგრძლივობა (დღეების და ღამეების რაოდენობა ცალ ცალკე), მივლინების ადგილი, სამივლინებო სადღეღამისო ნორმის/ღამისთევის (სასტუმროს) ხარჯის ოდენობა, მიზნობრივი გრანტების შემთხვევაში გრანტის სამივლინებო ნორმების ოდენობა (სეთის არსებობის შემთხვევაში) უცხოურ ვალუტის შემთხვევაში საჭირო კურსების ოდენობა და კურსის თარიღი, დარიცხული სამივლინებო ანაზღაურების ოდენობა, დაუბეგრავი თანხის ოდენობა, დასაბეგრი თანხის ოდენობა, საშემოსავლო გადასახადის (სხვა გადასახადების) ოდენობა, საპენსიო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა და ხელზე ასაღები თანხის ოდენობა. უწყისში მითითებული ფინანსური მაჩვენებლები უნდა იყოს დაანგარიშებული სრული სიზუსტით.

მივლინების ფურცელს/ფორმას უნდა ჰქონდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის რეკვიზიტები, დაფინანსების წყარო (გრანტის შემთხვევაში კონკრეტულად მიზნობრივი გრანტის რეკვიზიტები) სამივლინებო ფურცელის მომზადების თარიღი, თანამშრომლის სახელი, გვარი, მივლინების პერიოდი/ხანგრძლივობა (დღეების და ღამეების რაოდენობა ცალ ცალკე), მივლინების ადგილი, სამივლინებო სადღეღამისო ნორმის/ღამისთევის (სასტუმროს) ხარჯის ოდენობა, მიზნობრივი გრანტების შემთხვევაში გრანტის სამივლინებო ნორმების ოდენობა (სეთის არსებობის შემთხვევაში) სამივლინებო ანაზღაურების ჯამური ოდენობა. სამივლინებო ფურცელში მითითებული ფინანსური მაჩვენებლები უნდა იყოს დაანგარიშებული სრული სიზუსტით.

სამივლინებო დანახარჯების წინასწარ გადახდის შემთხვევაში, აპარატის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა აღიარდება ავანსად და ხარჯებში ჩამოიწერება მივლინებული პირის მიერ არანაკლებ შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ: სასტუმროს ქვითარი (ასეთს არსებობის შემთხვევაში), გადადგილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების დამადასტურებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შემთხვევაში) დოკუმენტის და სხვა წარმოდგენის შემდეგ. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა სავალდებულო არ არის დღიური/სადღეღამისო ნორმის დადასტურების მიზნით.

### **ბ.გ) ოფისის ხარჯები (223);**

აპარატი ოფისის ხარჯებს აღიარებს:

ა) სახალხო დამცველის აპარატის მიერ მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულები/სხვა დოკუმენტის საფუძველზე მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის/ქვითრის/მიღება-ჩაბარების /ზედნადების/ინვოისის /სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად ან/და

ბ) სახალხო დამცველის აპარატის მიერ შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, დოკუმენტის დასახელება, ნომერი, ხარჯის დასახელება ოდენობა/რაოდენობა მიმღები და გამცემი პირების ხელმოწერები ან

გ) კუმულური ხარჯების შემთხვევაში მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის/ქვითრის/მიღება-ჩაბარების /ზედნადების/ინვოისის /სხვა დოკუმენტის საფუძველზე.

### **ბ.დ) წარმომადგენლობითი ხარჯი(224);**

აპარატი წარმომადგენლობით ხარჯებს აღიარებს საქართველოს სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის/ქვითრის/მიღება-ჩაბარების /ზედნადების/ინვოისის /სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად ან/და სახალხო დამცველის აპარატის მიერ შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, დოკუმენტის დასახელება, ნომერი, ხარჯის დასახელება ოდენობა/რაოდენობა მიმღები და გამცემი პირების ხელმოწერები.

### **ბ.ე) სამედიცინო ხარჯები (226);**

აპარატი სამედიცინო ხარჯებს აღიარებს მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის/ქვითრის/მიღება-ჩაბარების/ზედნადების/ინვოისის/სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად ან/და სახალხო დამცველის აპარატის მიერ შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, დოკუმენტის დასახელება, ნომერი, ხარჯის დასახელება ოდენობა/რაოდენობა მიმღები და გამცემი პირების ხელმოწერები;

### **ბ.ვ) ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (228)**

აპარატი ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს აღიარებს მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის /ქვითრის /მიღება-ჩაბარების /ზედნადების /ინვოისის /სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად ან/და სახალხო დამცველის აპარატის მიერ შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც უნდა

გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, დოკუმენტის დასახელება, ნომერი, ხარჯის დასახელება ოდენობა/რაოდენობა მიმღები და გამცემი პირების ხელმოწერები;

**ბ.ზ) სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება (2210);**

აპარატი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯებს აღიარებს მომწოდებლების მიერ წარმოდგენილი კანონმდებლობით დამტკიცებული ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურის /ქვითრის /მიღება-ჩაბარების /ზედნაღების /ინვოისის /სხვა დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების შესაბამისად ან/და სახლხო დამცველის აპარატის მიერ შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც უნდა გააჩნდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, დოკუმენტის დასახელება, ნომერი, ხარჯის დასახელება ოდენობა/რაოდენობა მიმღები და გამცემი პირების ხელმოწერები;

**გ) ძირითადი კაპიტალის მოხმარება\*(23)**

აპარატი ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა) მუხლით განხორციელებულ ხარჯებს აღიარებს ცვეთის უწყისის და ცვეთის წესების შესაბამისად;

**დ) სუბსიდიები(24)**

აპარატი სუბსიდიების მუხლით განხორციელებულ ხარჯებს აღიარებს სახლხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და სხვა მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

**ე) გრანტები (26);**

აპარატი გრანტების მუხლით განხორციელებულ ხარჯებს აღიარებს სახლხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, უცხოეთში საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გადასახდელი საწევროების შემთხვევაში. სავალდებულოა, რომ სამართლებრივ აქტს თან ერთვოდეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილი ინვოისი, ორგანიზაციის საერთაშორისო სავალუტო ანგარიშის რეკვიზიტების, თანხის, ვალუტის და მოსახურების პერიოდის მითითებით. ამ მუხლის ხარჯებში ასევე აისახება საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის მთავრობების მიერ, აპარატისთვის გადმოცემული გრანტების აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნების ხარჯები, რომელსაც აპარატი აღიარებს დონორის მიერ გამოგზავნილი ოფიციალური დოკუმენტის /წერილის საფუძველზე სადაც მითითებული იქნება არანაკლებ შემდეგი ინფორმაცია: დონორის სახელწოდება, პროექტის დასახელება, ოფიციალური საბანკო რეკვიზიტები, მოთხოვნილი თანხის ოდენობა და ვალუტა.

**ვ) სოციალური უზრუნველყოფა (27)**

აპარატი სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს აღიარებს სახლხო დამცველის/სახლხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელსაც ეუნდა ერთვოდეს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი „საავადმყოფო ფურცელი“ ან/და სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვით დგება სოციალური უზრუნველყოფის ანაზღაურების უწყისი. სოციალური უზრუნველყოფის ანაზღაურების უწყისს ხელს აწერს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მთავარი ბლალტერი ან მათი შემცვლელი პირები. სოციალური უზრუნველყოფის ანაზღაურების უწყისს უნდა ჰქონდეს არანაკლებ შემდეგი რეკვიზიტები: ორგანიზაციის დასახელება, საოპერაციო პერიოდი, უწყისის მომზადების თარიღი, თანამშრომლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დარიცხული სოციალური უზრუნველყოფის ანაზღაურების ოდენობა, საშემოსავლო გადასახადის (სხვა გადასახადების) ოდენობა, საპენსიო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობა

და ხელზე ასაღები თანხის ოდენობა. უწყისში მითითებული ფინანსური მაჩვენებლები უნდა იყოს დაანგარიშებული სრული სიზუსტით.

სხვა შემთხვევებში, აპარატი სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს აღიარებს სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგენილი უწყისის შესაბამისად.

### **ზ) სხვა ხარჯები (28).**

აპარატი სხვა ხარჯებს აღიარებს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული ანგარიშ-ფაქტურების, ქვითრების და მიღება-ჩაბარების დოკუმენტების საფუძველზე.

### **მუხლი 32. არასაოპერაციო ხარჯების/შემოსავლების აღრიცხვა**

1. აქტივების ან ვალდებულებების მოცულობის ან ღირებულების ცვლილება, რომლებიც ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს, აპარატში განიხილება არასაოპერაციო შემოსავლებად და არასაოპერაციო ხარჯებად.

2. არასაოპერაციო შემოსავალი/არასაოპერაციო აპარატში ხარჯი წარმოიშობა:

ა) ფასების დონისა და სტრუქტურის ცვლილებების შედეგად აქტივის ან ვალდებულების ფულადი ღირებულების ცვლილების შედეგად იმის გათვალისწინებით, რომ აქტივი ან ვალდებულება რაოდენობრივად ან ხარისხობრივად არ შეცვლილა;

ბ) უცხოურ ვალუტაში შეფასებული აქტივებისა (გარდა ფულადი სახსრებისა) და ვალდებულებების შემთხვევაში – ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად;

გ) არსებული ობიექტების ეკონომიკურ აქტივებად აღიარების ან აღიარების შეწყვეტის შედეგად;

დ) აქტივების სხვა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების შედეგად, რომელიც შეიძლება იყოს განპირობებული სხვა სახის მოვლენებით (მათ შორის, დანაკლისებით):

დ.ა) რომლებიც ცვლიან არსებული ეკონომიკური აქტივების ოდენობას;

დ.ბ) რომელთა შედეგად ხდება იმ აქტივების ბალანსზე აყვანა ან ბალანსიდან მოხსნა, რომლებიც იყო აღმოჩენილი, შექმნილი, გაუქმებული, განადგურებული;

ე) აქტივების/ვალდებულებების რეკლასიფიცირების შედეგად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს აქტივის გამოყენების მიზნობრივი დანიშნულების შეცვლით;

ვ) სხვა არასაოპერაციო ხარჯებს/შემოსავლებს რომლებიც ზემოთ ჩამონათვალში არ არის მითითებული, მაგრამ აკმაყოფილებს არასაოპერაციო ხარჯების/შემოსავლების განმარტებას.

3. არასაოპერაციო შემოსავლების ანგარიშზე, აპარატში აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების ზრდა/კლება, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი.

4. არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე აპარატში აღირიცხება აქტივისა და ვალდებულების კლება/ზრდა, რომელიც ოპერაციების შედეგად არ არის წარმოქმნილი.

5. აქტივების წმინდა ღირებულების სიდიდის დასადგენად არასაოპერაციო შემოსავლების/არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშები, საქმიანობების შესაბამისად, გადაიხურება კაპიტალის ანგარიშებზე.

6. არასაოპერაციო ხარჯების ასახვა ხდება მაშინ, როდესაც საჭიროა ეკონომიკური აქტივის ბალანსიდან ჩამოწერა, იმის გამო, რომ მას აპარატისთვის არ შეუძლია ეკონომიკური სარგებლის მოტანა, ან აპარატს აღარ სურს ან უნარი არ შესწევს, რომ განახორციელოს საკუთრების უფლებები აღნიშნულ აქტივთან მიმართებით.

7. არასაოპერაციო ხარჯების/შემოსავლების აპარატის ფინანსურ ანგარიშგებებში ასახვის საფუძველს წარმოადგენს დოკუმენტი, რომელიც გამოხატავს აპარატის ხელმძღვანელობის ნებას განხორციელებს მითითებული ფინანსური ოპერაციები (სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის პირველი მოადგილის ბრძანება ან/და სხვა დოკუმენტი).

